ხუთშაბათი. 1919 წ. იანვრის 23 № 17.
ფელიფადი მეხუთე

ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ხუთშაბათი. 1919 წ. იანვრის 23 № 17

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის ვინაობა** და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია ა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების **გამო** პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღია ა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს" რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

ევა გიორგის ასული და მარიამ ნიკოლოზის ასული ჩხეიძე, ნინა ნიკოლოზის ასული პლიშევსკისა, ეკატერინე ნიკოლოზის ასული ელენტი, თამარა ნიკოლოზის ასული ფალავა თავიანთ ქრმებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 23-ს იანვარს, წლის თავზე გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქ. სურამში იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიაში უდროოდ დაღუპულ დაუვიწყარის და უძვირფასესის პირველის შვილიშვილის ხოლო დანარჩენების დისწულის ქართულ სამთო-ბატარეის ვოლნოოპრედელიაიუშცის

გიორგი (ჟორჟიკა) როსტომის ძის

ჩიკვაიძის

ამავე დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე გარდახდილ იქნება პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

1—2034—1

ორმად დამწუხრებული დედა მარიამი ისაკის ასული ზაალიშვილისა (შმურაევისა) აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 35 იანვარს პეტრე-პავლეს ეკლესიაში იქნება გახდილი ნახევარი წლის წირვა პანაშვიდი მის ერთად ერთი შვილის ვერაგულად მოკლულის პარუჩიკი 11-ტე ქართველ მსროლელთა პოლკის

გიორგი სულხანის ძის ზაალიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ სასაფლაოზე. 2—2036—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა

პარასკევს, 24 იანვარს, **ქართულ ენაზე** წარმოდგენილი იქნება

ოპერა

დემონი

მონაწილეობენ: ქ-ნნი: შულგინა, ხორინა; ბ-ნნი: სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეკაი, დემიანენკო, კურბატოვი.

ალი დადგმა ალ. წუწუნავასი. 5—97—4

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა

პარასკევს, 24 იანვარს წარმოდგენილი იქნება

ქართულ ენაზე პარასკევს, 24 იანვარს **ქართულ ენაზე**

დემონი

მონაწილეობენ ქ-ნნი: შულგინა, ხორინა, ბ-ნნი: სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეკაი, დემიანენკო და კურბატოვი.

დასაწყისი ხალამოს 7 ხაათზე.

ბათს, 25 იანვარს **გალეტის გენეფისი** შაბათს, 25 იანვარს

1. „**გრძნეული ფლეიტა**". 2. „**სოფლის პატიოსნება**".

ერას, 26 იანვარს, დილით—„**შვიდი ციკანი**", „**წითელი ქუდი**" და „**ქორი უკრაინაში**"; საღამოთი ა. ა. გურესის ბენეფისი „**ჰოფმანის ზღაპრები**".

საქართველოს მამულიშვილნო!

ახლოვდება არჩევნები

დამფუძნებელ კრების

და

თბილ. თვითმართველობისა

ველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.

დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები.

დაიცავით თავისუფლება და კანონიერება.

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო"

1919 წელ. | **ფელიფადი მეხუთე** | **1919 წელ.**

მორიგ მასალის გარდა გაზეთში დაიბეჭდება **ვასილ ბარნოვის** დიდი ისტორიული

რომანი „ტრფობა ფამეებული" რომანი

გაზეთის ფასი:

წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე

გეროლტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო". ტელეფონი—15—73. კონტორა ღია ა დილით 9—3 ს.

საქალაქო არჩევნებისთვის

2 თებერვალს ჩვენი დედა ქალაქის თვითმართველობის არჩევნები მოხდება.

2 თებერვალს გადასწყდება საკითხი, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს თბილისი:

იქნება იგი საქართველოს დედა ქალაქი, გული ჩვენი ეროვნული, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, თუ დარჩება იმ ცენტრად „კავკასიის ინტერნაციონალის" როგორც დღეს არის?

საქართველომ დიდის ბრძოლის და აურაცხელი მსხვერპლით უკვე მოიპოვა თავისი დამოუკიდებლობა და უფლება აქვს ისე მოაწყოს თავისი სახელმწიფოებრივი წყობილება როგორც მის ისტორიას, ზნეჩვეულებას და ბუნებრივ მოთხოვნილებას შეეფერება.

ქართველი ერი უკვე უფლება მოსილია საქართველოში, მაგრამ ქართველ ერს ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ დაუპყრია თავისი დედა ქალაქი. ის ჯერ კიდევ უცხოელთა ტყვეობაშია და ჩვენ უნდა დავიხსნათ იგი. საქალაქო არჩევნები გადასწყვეტენ მის ბედს.

ამ არჩევნებში მრავალი პარტია გამოვა და ერთი მეორეზედ უკეთეს დაპირებებს მოგცემენ ჩვენი დედა ქალაქის საუკეთესოთ მოწყობისათვის.

მაგრამ ვის მისცემთ თქვენ ხმას?

რასაკვირველია, თქვენ ხმას ვერ მისცემთ „დაშნაკცაკანებს", ან სხვა „რომელიმე" უცხოელ პარტიას; რადგან რაღა დახსნა იქნება იგი ჩვენი დედა ქალაქისა, თუ მის ბედს ისევ ჩვენს მუდმივ მტრებს მივანდობთ?

თქვენ ხმას ვერ მისცემთ ვერც „სოციალისტ-ფედერალისტებს" რადგან ამ პარტიას ჯერ ვერსად თავისი სახე ვერ გამოუჩენია და მისი ბუნებრივი ჩვეულებაა მხოლოდ გაბატონებულ პარტიას მისდიოს.

მხოლოდ ერთხელ გამოვიდა ეს პარტია საკუთარის მოთხოვნილებით და ისეც ისეთი უკუღმართი აღმოჩნდა, რომ მთელ პარლამენტში განმარტოებული დარჩა:

ეს იყო მათი მოთხოვნა საქართველოში „სოციალიზაციის" განხორციელებისა და ბოლშევიკური რუსეთის მაგალითების საქართველოში გადმონერგვა და არევ-დარევის შეტანა.

ეს პარტია ამ არჩევნებშიც ისევე განმარტოებული უნდა დარჩეს, როგორც საქართველოს პარლამენტში დარჩა.

მათან იქნებიან მხოლოდ „სოციალისტ რევოლუციონერები", მაგრამ ესენიც ხომ მათებრ რუსული ყაიდის პარტია არის, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ სოც.-ფედერ. უფრო ადრე მოვიდნენ საქართველოში.

ეს პარტია, ღვთის მადლით გასტუმრებულ რუსულ ეშელონებს ჩამორჩა და მათ გზასვე უნდა მიყვეს.

ამ არჩევნებში იბრძოლებს მხოლოდ ორი პარტია.

სოციალ-დემოკრატია და ეროვნული დემოკრატია.

წარსულმა არჩევნებმა უმრავლესობა მათ მოუპოვა.

მრავალის დაპირებით გამოვიდა იგი წარსულ არჩევნებში.

იგი გპირდებოდათ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

განათების მოწყობას.

ბინის საკითხის მოწესრიგებას.

მიმოსვლის საშუალებათა გაადვილებას, ჰიგიენურ პირობათა დაცვას და მრავალი იმედები ისახებოდა მათს საარჩევნო ფურცლებზედ?

მიიღეთ რამე?

ბინის საკითხის მოწესრიგების ნაცვლად, თქვენ მთელი თვეებით გიხდებათ ბინის კომიტეტში დარაჯობა და მრავალი უსამართლობანი გეღობებათ წინ!

მიმოსვლის საშუალების გაუმჯობესების ნაცვლად, ტრამვაის ვაგონების ძველი რიცხვიდან შესამედი ღა დაიარება და ისინიც დღეს თუ ხვალ გაფუჭდებიან.

განათების მოწყობის ნაცვლად, თქვენს სახლებში ელექტრონი ყოველ წამს ქრება და ვისაც ნავთის ყიდვა ესაჭიროება ის სულ ბნელეთში უნდა იმყოფებოდეს.

ამავე დროს ქალაქი ავსილია ყოველი ჯურის უცხოელით და ქუჩაში ქართულ წარწერას, დიდ ძებნის შემდეგ თუ იპოვით.

რას აკეთებს ქალაქის საბჭო?

ის მხოლოდ მაშინ იკრიფება, როდესაც გალაშქრებაა საჭირო მთავრობის წინააღმდეგ.

ქალაქის საჭიროებათა განსახილველად კი ხმოსნებს არ სცალიათ!

რა უშლისთ ხელს?

სოც.-დემოკრატები გეტყვიან: რუსსომხების ოპოზიცია.

ვინ არის ეს რუსები?

რუსი სოციალ-დემოკრატები; ის ხალხი, რომელიც ქალაქის საბჭოში სოციალ-დემოკრატების სიით გავიდნენ.

ქართველების ხმებით მოიპოვეს ხმოსნობა და ქართველებსავე ებრძვიან.

მაგრამ სოციალ-დემოკრატიას დღეს სურს ეს ხალხი გაიყვანოს.

ვინ არიან მათ სიაში?

დანდურიან

ვარდოიანც და სხვა მრავალი სომეხი.

განა ესენი დაიცვენ ქართველი ერის ინტერესებს?

განა ესენი შეეცდებიან ჩვენ დედა ქალაქი დაამსგავსონ ნამდვილ ქართულ ქალაქს?

განა ესენი დაიცვენ ქართველებს სომხებისაგან?

იმის ნაცვლად, რომ სოციალ-დემოკრატიამ გასწმინდოს ქალაქის საბჭო სომხებისაგან, იგი მათს გაძლიერებაზე იღწვის.

თუ თქვენ ხმას მისცემთ სოციალ-დემოკრატიის სიას მით კიდევ მეტ ხმას მიუმატებთ იმ სომხობას, რომლის ტყვეობიდგანაც გვინდა დავიხსნათ ჩვენი თბილისი!

ნამდვილი ეროვნული პოლიტიკის წარმოება შეუძლია მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიას.

მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იცავს მტკიცედ კერძო საკუთრებას, საქართველოს მეურნეობას და მრეწველობას.

მის დროშაზედ არ წერია არც ერთი კლასის სახელი:

იგი ქედს იხრის მხოლოდ სახელმწიფოებრივ უზენაესობის წინაშე და მის სამსხვერპლოზედ მიაქვს ყველა კლასიური მისწრაფებანი.

ვისაც უნდა, რომ თბილისი ეკუთვნოდეს ქართველებს ხმა უნდა მისცეს ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის სიას № 2.

პარტიულ პოლიტიკისათვის.

არა ერთხელ გვითქვამს, რომ ეროვნული დემოკრატია არის ზეკლასიური, სახელმწიფოებრივი პარტია.

ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ პარტია, რომელიც გამოდის რომელიმე ერთი სოციალური ჯგუფის ან კლასის ინტერესების დამცველად, არასოდეს არ იქნება პარტია სახელმწიფოებრივი და ვერასოდეს ვერ დაიცავს მთლიან ინტერესებს ერისას.

ვინც დაკვირვებით ადევნებს თვალს ჩვენ პოლიტიკურ მოღვაწეობას, შეუძლია რომ მაში დარწმუნდეს.

ამის და მიუხედავად ზოგიერთები გაკვირვებას ეძლევიან, როდესაც ხედავენ რომ ჩვენი პარტია არ იკარებს ისეთ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომელთა აშკარა ტენდენცია იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ პარტიის ფართო და სწორ სახელმწიფოებრივი გზიდან ვიწრო კლასობრივ ბილიკებისაკენ შეგვახვევინოს.

რა თქმა უნდა ეს არასოდეს არ მოხდება და ერთხელ აღებული პოლიტიკური გეზი, რომელიც ეროვნულ დემოკრატიულ თეორიის შემეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეიდან საარჩევნო სიები გამოფენილი იქნება საუბნო კომისიებში. სიებში შესწორებას შეტანა შეიძლება 23 იანვარს საღამოს 9 საათამდე. **ერთი დღე ღა დარჩ.**

მოქალაქენო! არ დაკარგოთ თქვენი ხმა. შეასწორეთ სიები ქალაქის და დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის.

უკანასკნელი ცნობები

ბათომში ჩამოვიდა სტამბოლიდან ინგლისელი მთავარ-სარდალი გენერალი მილენგი.

ლიბკნეხტის მოკვლის საპროტესტო გაფიცვა გათავდა.

პოლონელებს და უკრაინელებს შორის შეტაკება ხდება.

უკრაინამ რუსეთის საბჭოთა მთავრობას ულტიმატუმი წარუდგინა.

რევოლუციონერთა ოლქის კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა არ მიიღოს მონაწილეობა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში.

ნებას ემყარება, ჩვენგან მარად შეუცვლელი იქნება.

და თუ ვინმე ჩვენ მოქმედების დეტალებში, რაღაც არა ჩვეულებრივს ხედავს, ეს უფრო დამახასიათებელია მათი პოლიტიკური ახლომხედველობისა.

ჩვენ ხაზ გასმით ვაღიარეთ რომ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას დღევანდელ ვითარებაში არ შეუძლია რაიმე პოლიტიკური კონტაქტი დაიკავოს გაზეთ „სალი კლდის“ ხელმძღვანელ ჯგუფებთან, უმთავრესად იმ მოსაზრებით, რომ ჩვენი პარტია ვერ გამოდგება მსხვილი მემამულეების ინტერესების დამცველად, და მათი კონსერვატიული სულის კვეთებას ვერ შეითვისებს.

მართალია ერთ დროს ხსენებული პოლიტიკური ჯგუფი ჩვენთან ერთად იყო და ყოველ დღიურ მუშაობაში უთანხმოებას არ უჩენია თავი, მაგრამ ეს აიხსნება მაშინდელ პოლიტიკურ კონიუნკტურით; როდესაც სოფლად ანარქია მძვინვარებდა და უპასუხისმგებლო პროპაგანდისტებს მიწის სოციალიზაციის და მუნიციპალიზაციის ქადაგებით შფოთი და უწესრიგობა შეჰქონდათ გლეხის ოჯახში, ჩვენ მომხრე ვიყავით დასდებოდა ბოლო ისეთ მოვლენებს.

და მაშინ ჩვენს ოპოზიციას მნიშვნელობა ჰქონდა.

მთავრობამ მოიკრიბა ძალა და სოფლათ დაამყარა წესიერება და კანონიერება.

დღეს თუ მომხრე არა ვართ, რომ, ერთი მუჭა მემამულეების ინტერესების სანაცვლოდ მოვახდინოთ ახალი რევოლიუცია და გავაჩაღოთ სოფლად კვლავ ანარქია—ნურას უკაცრავად.

ეს არის ჩვენი უმთავრესი განსხვავება და ვინც ამას ამჩნევს, ის ვერც გაბედავს იფიქროს რაიმე შეთანხმების შესახებ.

მაგრამ თუ ჩვენ მსხვილი მემამულეების ეგოისტურ ინტერესებს არ ვიცავთ, ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს თითქო მსხვილი სოვდაგრის ეგოისტურ ინტერესებს ვიცავდეთ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიამ თავიდანვე აღიარა, რომ მის უახლოეს საზრუნავ საგანს შეადგენს ეროვნული კაპიტალის აღორძინება.

ჩვენი წარმოდგენით შეუძლებელია ქართველი ერის კულტურული წარმატება, თუ მან პოლიტიკურ განთავისუფლებასთან ერთად თავი არ დაიღწია უცხოელთა ეკონომიურ გავლენას.

მაგრამ ამისთვის განა საჭიროა ვაწარმოოდ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ეროვნულ მთლიანობას დაარღვევს და ჩვენს პარტიას ჩამოაყალიბებს ვიწრო კლასობრივ ჩარჩოებში?

პარტია, რომელიც ეროვნულ აღორძინებას ისახავს მიზნად, შეუძლებელია რომელიმე ერთი კლასის ვიწრო ინტერესებს იცავდეს.

ის კი შესაძლებელია და აუცილებელიც, რომ რომელიმე კლასი ამაღლდეს ეროვნულ შეგნებამდის და ამ მიზნით ზოგიერთ შემთხვევებში ვიწრო კლასობრივი ინტერესები დასთმოს; მით უმეტეს იმ დროს, როდესაც ჩვენი ეროვნული სხეული ჯერ კიდევ გამთელებული არ არის და ჩვენი სახელმწიფო აღორძინებისათვის მთლიანი ეროვნული ენერგიის ამოძრავებაა საჭირო.

თვით სოციალ-დემოკრატია, რომელიც თავიდან კლასობრივ პოზიციაზე იდგა, დღეს უაღრეს ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებს. ვინ იტყვის დღეს, რომ სოციალდემოკრატია პროლეტარული პარტია არისო და არა ეროვნული. და თუ მისი გავლენა დღეს უფრო ძლიერია მასაში ეს იმიტომ, რომ ცხოვრების მსვლელობამ მას ეროვნულ-დემოკრატიული იდეები მიაღებინა. ამ პოლიტიკას დღეს ესაჭიროება გამაგრება და ძალის შემატება და არა შეურიგებელი ოპოზიციის წარმოება.

ჩვენი პარტია თავიდან არ არის ჩვეული დემაგოგიას და როდესაც ახლოვდება არჩევნები დამფუძნებელი კრებისა ამ შემთხვევაშიაც ასეთ იაფფასიან იარაღს ვერ მივმართავთ.

ჩვენი პარტიისათვის უფრო ძვირფასია იდეური სიმტკიცე, ვიდრე ერთი ან ორი ზედმეტი სავარძელი დამფუძნებელი კრების დარბაზში.

კ. სიოსრიძე

პრესა

„მაშვრალთა პარტია“

საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნების გაჩაღებამ პოლიტიკურ ცხოვრებაში დანაწილება გამოიწვია.

დიდი ხნის მომზადებული შინაგანი უკმაყოფილება ვეღარ იმალება.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა საარევოლიუციო პარტიას გამოეყო ერთი ჯგუფი, რომელიც თავის თავს მეშვრალთა პარტიას ეძახის.

ამ ჯგუფმა მოასწრო კიდეც და გამოსცა ორშაბათს, 26 იანვარს გაზეთი „ახალი ნაკადი“.

„გაზეთის მეთაური იწყება:

„სალი კლდე გასკდა, ნაკადი
გადმოჩუხჩუხდა ანკარა
და ბუჩქ-ბალახებს, ყვავილებს
თვის მოვლინება ახარა“.

„სალი კლდის“ გასკდომის ამბავი ჯერ ადრე უნდა იყოს, მხოლოდ „ახალი ნაკადი“ ფედერალისტების ბუჩქ-ბალახებს მაგარი გინებით და ლანძღვით ახარებს თავის მოვლინებასა.

„შუქურ-ვარსკვლავების“ პარტიას კიდევ მიემატა ერთი ვარსკვლავი, რომელიც ამ თავითვე შეუდგა თავის ქებას და დიდებას და ლამის არის, არა მარტო სოციალისტ-ფედერალისტებზე, არამედ მთელი საქართველოზე გაავრცელოს თავისი პრეტენზია. ეს ახალი მოციქულები ქართული სოციალიზმის სახარებას ბაძავენ „მაშვრალთა“ გადაბირებაში და გულის მოგებაში. გაზეთი ასე ასწერს გამოყოფის ამბავს:

„ჩვენი ჯგუფი, რომელიც უმეტესად მუშებისაგან შესდგება, ერთის გადაჭრით არ გაშორებია ფედერალისტების პარტიას. პირიქით დიდი ბრძოლისა და ცდის შემდეგ, რაკი დარწმუნდა ძველი პარტიის გეზის გასწორების შეუძლებლობაში, მდუმარედ, თავჩაქინდრული განშორდა ძველ ტაძარს, სადაც მას ბევრი მსხვერპლი შეუწირავს და სადაც თავისებური ლოცვა-ვედრება წარმოუთქვამს. და დღეს რომ ამ ჯგუფს უდიერად იხსენიებენ, ეს არც საკვირველია! ახალ სიცოცხლეს არსებობის გზის გაკაფვა ბრძოლით სჭირდება და ჩვენი ჯგუფიც, ვიდრე ერთი კაცი მაინც იქნება ჩვენ წრეში ცოცხალი, ხიდად დაედება, ახალ გზას, ახალ სხივს, ახალ სიცოცხლეს“!

როცა გაზეთი მორჩა თავის ყოფილი ამხანაგების გინებას, გვპირდება თავის პრინციპიულ პროგრამის გაშლას, რითაც ის განსხვავდება მთავარ პარტიიდან, რომელსაც ის „ზომიერებას“ არქმევს.

დაცდა ყოველთვის სჯობია, მაგრამ ჩვენ წინდაწინ დარწმუნებული ვართ, რომ ახალი პარტია „პრინციპიულ კურიოზების“ გარდა ვერაფერს გამოიტანს ახალს.

ჩვენ გვჯერა, რომ მალე დაშრება ეს „ახალი ნაკადი“, რომელიც თავისი ჩუხჩუხით მოგვევლინა,—ეს რასაკვირველია დიდი უბედურება არ იქნება. არც ის იქნება უბედურება, რომ მთავარი წყარო თუ ნაკადი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაც დაშრეს; საქართველო ამით არაფერს წააგებს და მაშვრალები ყველაზე ნაკლებს...

———

დაშნაკელები ინგლისელების შესახებ.

დაშნაკელების გაზეთი „არაჩი“ ეხება ინგლისელების შემოსვლას კავკასიაში. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისი მატარებელია იმპერიალისტური პოლიტიკისა, მაგრამ ინგლისელების იმპერიალიზმი იმით გაირჩევა გერმანულ და ოსმალურ იმპერიალიზმიდან, რომ უფრო კულტურულია და არ უარყოფს მცირე ეროვნებათა ინტერესებს.

გაზეთის თქმით ინგლისელები უკვე დამკვიდრდენ ბათომში, ბაქოში და ყარსში ისინი იქ უკვე ითვლებიან ქვეყნის პატრონებათ, გაზეთი აღნიშნავს, რომ მალე ისინი ჩაიგდებენ ხელში მთელ კავკასიის ცენტრს თბილისს და ამით დაემკვიდრებიან კავკასიაში.

გაზეთი ეწევა რა ასეთ ამაღელვებელ პროოვოკაციას დაშალული სიხარულით და ღვარძლიანობით სწერს:

„როცა ჩვენ იძულებული ვიყავით აგვერჩია ერთი ან ორი იმპერიალისტურ ძალებისგან (გერმანია-ინგლისი) ჩვენ უპირატესობას მივეცით ინგლისფრანგულ კულტურულ იმპერიალიზმს.

მაგრამ ჩვენ იმათ ვსთხოვთ ერთგვარ გარკვეულ პოლიტიკურ და დემოკრატიულ გარანტიებს.

ჩვენ ვითხოვთ, რომ ახალმა დამპყრობელმა ჩვენი ქვეყნისამ იცნოს დემოკრატიული პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა და ამის მსგავსათ აწარმოვოს თავისი პოლიტიკა აქ.

ჩვენ განზე ვსტოვებთ „ადერბეიჯანს, რომლის პოლიტიკურ მომავალზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი, რომელსაც არ აქვს არც პოლიტიკურ-კულტურული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარსული, არც გარკვეული ტერიტორია, მოკავშირეებმა უნდა იცნონ, რომ ჩვენ ქვეყანაში უკვე არსებობენ ერები, რომელთაც აქვთ საუკუნოებრივი კულტურა, ეროვნულ პოლიტიკური წარსული და სამშობლო, რომელნიც ახლა აპირებენ თვით-გამორკვევას—სომხები და ქართველები“.

დაშნაკელებმა ხელმეორედ აიხსნეს პირი სალაპადაკოთ, ჩვენ არ ვიცით, როგორ შეხედავს ინგლისის მისია სომხეთის პროოვოკაციას, თითქოს თბილისი ინგლისელებს სურთ. დაიპყრონ, მაგრამ შეუძლებელია მთავრობამ მოითმინოს ეს ასაღელვებელი პროოვოკაცია.

„არაჩი“ ტყუილად აბათილებს ადერბეიჯანის უფლების თვითგამორკვევაზე, შეიძლება ადერბეიჯანმა მეტი უფლებები წარადგინოს იქ სადაც საჭირო იქნება, ამაზე ლაპარაკი ყოველ შემთხვევაში ცინიზმი. ამაზე წინ ვერ წავა, რომ სომხები ტერიტორიაზე და სახელმწიფოზე ლაპარაკობდენ და როცა „არაჩი“ „დანოსებს“ სწერს იმას არავინ კითხავს ქართველების თვით გამორკვევის მზადებაზე ილაპარაკოს.

საქართველო საკმაოდ გამორკვეულია სახელმწიფოებრივად კიდეც, მხოლოდ სავალალო ის არის, რომ მისმა მთავრობამ ვერ შესძლო სამუდამოთ ხმა ჩაუკმიდოს დაშნაკელების პროვოკაციას პრესაში.

ქართველო ამოვარჩევ!

ეროვნული დემოკრატია სასტიკად ებრძვის სომეხი პლუტოკრატიის ბატონობას საქართველოში და ქალაქის თვითმართველობაში.

მიეცით ხმა მეორე ნ-მრის სიას.

მოქალაქენო!

ბოროტმომქმედებმა საარჩევნო ბიუროში 10,000 მოქალაქის ბარათი დაბიეს. შეიძლება თქვენი სახელიც ამოშლილია. მიდით საარჩევნო უბანში შეიტანეთ თქვენი სახელი და გვარი საარჩევნო სიაში.

შესწორებისთვის მხოლოდ ერთი დღე დარჩა.

ქრონიკა

ინგლისელები ქართულ წარმოდგენაზე. ინგლისის გენერალი ფორესტ რუოკერი და მისიის წევრები პარასკევს სახელმწიფო თეატრში ქართულ ოპერა „დემონ“-ს დაესწრებიან.

ხ. მდივანის დანიშვნა. საქართველოს მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლად ყუბანში სიმონ მდივანი დაინიშნა.

საჩუქარი მოხელეთათვის. მთავრობამ დაადგინა: სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებს ეგრეგ წოდებული სადღესასწაულო (საშობაო, საახალწლო, საღდგომო და სხ.) საჩუქარი მოესპოთ.

ვ. შალიკაშვილის დასაფლავება. ვალერიან შალიკაშვილის ცხედარს დაკრძალვენ ხუთშაბათს 23 იანვარს ს. აკეთში. ქართველ მსახიობთა კავშირმა დაკრძალვაზე დასასწრებლად უკვე გაგზავნა თვისი წარმომადგენელი. ამავე დღეს 2 საათ. კავშირის საბჭოს თაოსნობით გადახდილ იქმნება პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში

სტ. ზოორიანის გარდაცვალება; ქ. თბილისში შაბათს სახადით დაშნაკ-ცაკანთა პარტიის დამაარსებელი ზოორიანი (როსტომი) გარდაიცვალა.

გუმბრის სადგური. გუმბრის სადგურმა, რომელიც ამას წინად აფეთქდა მუშაობა განაახლო საბოლოოდ გამოირკვა, რომ აფეთქების დროს მომკვდარა 50 და დაჭრილი 500 კაცი.

სიების წარდგენა. დამფუძნებელ კრების კონტრალურ კომისიაში დღემდე შემოვიდა შემდეგი საარჩევნო სიები: 1) შოთა რუსთაველის პარტიისა 2) საქარ. ერ. დემოკ. პარტიისა 3) საქართ ს. ფ. მაშვრალთა პარტიისა 4) მუსულმანთა ეროვნულ საბჭოსაგან. 5) ს. ფედ. პარტიისაგან 6) ს. რევოლიუციონერთა პარტ. 7) სოც. დემოკრატებისაგან.

სანიტარული სათათბირო მთავრობის დადგენილებით, საქართველოს მიწა-წყალზე, სხ.-და-სხვა ეპიდემიასთან საბრძოლველად განსაკუთრებულ რწმუნებული დანიშნა და თან სანიტარული სათათბირო შესდგეს.

ბათუმის ქართულ გიმნაზიისთვის. განათლების სამინისტრომ ბათუმში ქართულ გიმნაზიის გახსნისათვის 100,000 მ. გადასდო.

მასწავლებლების გაფიცვა. პუშკინის კერძო გიმნაზიის მასწავლებლებმა მოითხოვნილება წარუდგინეს სასწავლებლის დამაარსებელთ: წლიური გაკვეთილებისათვის—400 მან. რვეულის გასწორებისათვის წლიურად 30 მანეთი. თუ სამ დღეში არ დააკმაყოფილეს, გაიფიცებიან

სომხები ნახიჩევანში. როგორც ნახიჩევანიდან იტყობინებიან იქ მხოლოდ 30 სომეხი დარჩენილა, და ისინიც თათრებს შეუპყრიათ.

ინგლისური გაზეთი. ამ კვირაში გამოვა ინგლისური გაზეთი „ამიერ კავკასიის ფოსტა“ გაზეთი ორჯერ გამოვა კვირაში. პირველი ნომერი კვირას გამოვა.

ძარცვა. 22 იანვარს ღამით კოჩუბევის ქუჩაზე ბოროტ-გამზრახველებმა ს. აბოვიანცს 6280 მან. წაართვეს.

მკვლელობა. 22 იანვარს თუმანიშვილის ქუჩაზე ს. ხოსროიანცი მოჰკლეს. ეჭვით 5 კაცი შეიპყრეს.

ნინოობა ბათომში. 14 იანვარს ძვ. სტილით ქალ. ბათომში ადგილობრივი ქართველი საზოგადოება მართავს ქართულ ტრადიციულ საღამოს ნინაობას. ამ საღამოში მონაწილეობის მისაღებად საგანგეო ვაგონით იგზავნება მსახიობნი კავშირის დასისა და მიხ. კავსაძის ქართული გუნდი.

ნავთი საქართველოსთვის. ქ. ბაქოში ნავთის სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენელთა კრება გაიმართა. კრებას თავმჯდომარეობდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ქარცივაძე. კრებამ იმსჯელა საქირთველო ადერბეიჯანის შორის დადებულ ხელშეკრულობაზე. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ კრებამ გამოსთქვა, რომ საქართველოში ხელშეკრულებაში ნახსენებ 1 მილიონ ფუთ ნავთის შეტანა მხოლოდ საქართველოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს ნებართვით შეიძლება.

მიმოსვლა ადერბეიჯან-საქართველოს შორის. ადერბეიჯანის გზათა მინისტრი საქართველოს გზათა მინისტრს დეპეშით ატყობინებს, რომ საჭიროა საჩქაროდ რესპუბლიკათა შორის მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანა, და ბარგის გადაზიდ-გადმოზიდვის შესახებ შეთანხმება მოხდეს. გთხოვთ თქვენი წარმომადგენელი დაჩქარებით გამოგზავნოთ.

იგივე მინისტრი ატყობინებს საქართველოს გზათა მინისტრს, რომ მიუხედავად საქართველოს რკინის გზის უფროსის განკარგულებისა, მატარებლების ერთი გზიდან მეორეზე გადაყვანა სადგურ სოღოღლში სასურველად ვერ ხდება, გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ.

მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა ხოხუმში. ამ დღეებში სოხუმის ოლქის მომრიგებელ-მოსამართლეთა ყრილობა შესდგება. თავმჯდომარედ ნ. თავდგირიძე აირჩიეს. ყრილობამ იუსტიციის მინისტრს მოასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა.

ეკონომიური საზოგადოების ახალი გამგეობა. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურების ეკონომიურ საზოგადოების უკანასკნელ სხდომაზე ამავე საზოგადოების გამგეობამ უფროობის გამო უარი განაცხადა, აირჩიეს ახალი გამგეობა 5 კაცისაგან. არჩეულნი არიან: 1) ჩიმაკაძე, 2) მდივანი, 3) ბახტაძე, 4) ციციშვილი და 5) შალარიძე.

საარჩევნო სიების წარდგენა. დამფუძნებელ კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია ამით აცხადებს, რომ უკანასკნელი ვადა საკანდიდატო სიების წარდგენისა თავდება 24 იანვარს ღამის 12 საათზე.

სად გამოქვეყნდა საარჩევნო სიები. დამფუძნებელ კრების საარკევნო სიები გამოქვეყნდა: ქ. ქუთაისში, ახალციხის მაზრაში, თბილისის მაზრაში, ქ. ხონში, ქ. ფოთში, ჭიათურაში, ზუგდიდში, თიანეთის მაზრაში და თელავში.

განათლების მინისტრის წარმომადგენელი ბათუმში. ამ დღეებში სახალხო განათლების სამინისტრო თავის რწმუნებულს გზავნის ბათუმში.

სასულიერო სასწ.-ვლებელი. ქ. თბილისში (ავლაბარი, წმ. მაცხოვრის ფერისცვალების (დარიის) მონასტერთან დაარსდა კერძო სასულიერო სასწავლებელი. მოწაფეთათვის წლოვანება განუსაზღვრელია, საღვთისმეტყველო საგნების და საეკლესიო გალობის შესწავლა და აგრეთვე წერა-ლოცვაზე მუდმივი სიარული სავალდებულოა. სწავლის ფასი წლის ბოლომდის პროგიმნაზიულ კლასებში 60 მან.

მხატვრული ქრონიკა

სახელმწიფო თეატრი. დღეს ქართული წარმოდგენაა. მეშვიდეთ იდგმება „სინათლე“. ხვალ ქართულად წარმოდგენილი იქნება ოპერა „დემონი“.

ქართული პიესა. დ. კოპალმა დასწერა პიესა „წითელი ბატონები“, რომელიც რუსულად სთარგმნა სანდრო ყანჩელმა. ამ პიესაზე მუსიკას სწერს პროფ. ნ. ჩერეპნინი.

ქართველო ამრჩევლებო!

ეროვნული დემოკრატია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც აქტიურ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებს.

მიეცით ხმა № 2-ის სიას.

ბათუმის ცხოვრება.

საქალაქო არჩევნებისათვის.

ქალაქის საბჭოს არჩევნებისათვის ბათუმის მცხოვრებთა აღწერა 20 იანვარს დაიწყო.

ამიერ.კავკასიის ბონები.

როგორც ვიცით ბათუმში ოსმალეთის შამოსვლის შემდეგ კავკასიის ბონებს არ ღებულობდენ. ამ ბოლო დროს ბათუმის ოლქის მმართველ საბჭოს დაუდგენია, რომ კავკასიის ბონებს ისეთივე გასავალი ქონდეს ბათუმში როგორც რუსულ და ოსმალურ ფულს.

ოსმალეთის ჯარი

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბათუმში არც ერთი ოსმალო ასკერი აღარ არის.

რუსთა ეროვნული საბჭო და ბათუმის დროებითი მმართველობა

ბათუმის რუსთა ეროვნულ საბჭომ დაადგინა ბათუმის დროებით მმართველ საბჭოს ნდობა გამოუცხადოს.

მილიციის სადარაჯოები.

ამ დღეებში ბათუმში ინგლისელ ჯარისკაცებისაგან მილიციის სადარაჯოები მოეწყობა.

ამერ-კავკასიის ბერძნები და საქართველოს ეკლესია.

ამიერ-კავკასიის ბერძნების ყრილობამ, რომელიც 20 იანვარს დასრულდა, შემდეგი დადგენილება გამოიტანა ბერძნების ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ საქართველოს ეკლესიასთან.

„ამიერ-კავკასიის ელლინთა (ბერძენთა) მე 3-მე ყრილობა სდგას რა კანონიერ ნიადაგზე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის კათალიკოს სცნობს უმაღლეს საეკლესიო ეუფლებად ამიერ კავკასიაში და მხურვალე სურვილს გამოსთქვამს, რომ ამიერ კავკასიის ელლინთა სამრევლონი სრულიერ ერთიანობას განამტკიცებენ საქართველოს ეკლესიასთან და ამიერ კავკასიის ელლინთა ეკლესიის სამფლობელოება კანონიერის წესით ექვემდებარებოდეს საქართველოს ეკლესიას“.

† ვ. შალიკაშვილი.

გურიაში სოფ. აკეთში დაუსრულებელ ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა ქართველი მსახიობი ვალერიან შალიკაშვილი.

ვ. შალიკაშვილი არ იყო პოლიტიკური მოღვაწე და მიტომაც არ ასტყდა განგაში.

იგი მსახიობი იყო, პეშმარიტი ხელოვანი.

ჩვენ კი ბარბაროსულ დროში ვცხოვრობთ.

მალე ვივიწყებთ რაც უჩუმარია, მაგრამ დიადი. გვერდს უხვევთ რაც ადამიანის ასამაღლებელია და სტატაკი!

ვ. შალიკაშვილი!

ნამდვილი ქართველი მსახიობი! თავის დირსებით და ნაკლით. მოვალეობამ ბევრი რამ დააკისრა რაც არ შეეჭფეროდა და არ შესწევდა მის ბუნებას. მსახიობმა იგრძნო რომ მარტო მსახიობობით ქართულ სცენას ბევრ ვერაფერს შესძენდა. და მოჰკიდა ხელი კალამს. სწერდა პიესებს, სთარგმნიდა, ლაპარაკობდა ქართულ თეატრის ბედს და უბედობაზე. მაგრამ როგორც ყოველ ქართველს, ისე ვ. შალიკაშვილს არა ჰქონია მკვიდრი ნიადაგი. რყევა და შიში მუდამ თან ახლდა მსახიობს. მან ბევრი სულიერი გარდატეხა გადიტანა. გაიტანჯა სულით და ხორცით, მაგრამ მაინც არსება მისი არ სცხრებოდა. ცხოველყოფილი მისი ტემპერამენტი მუდამ ფართე მოღვაწეობას ეძებდა. იგი რეჟისორობდა კიდეც. მაგრამ აქაც შებორკილი ყოფილა, ნიჭი ფრთას ვერა ზლიდა. გასაქანი არსად იყო. და ვ. შალიკაშვილიც ჩაიხრჩო ჩვეულებრივ ზაბლონში.

ვ. შალიკაშვილის სიძლიერე არც კალამში იყო და არც რეჟისორობაში.

იგი ნამდვილი მსახიობი იყო. მსახიობი, რომელსაც თამამად შეეძლო ფეხი შეედგა განახლებულ ახალ ქართულ თეატრში, მაგრამ მძვინვარე ბლექმა ეს არ აცალა. უდროოდ წავიდა ხელოვანი—მხატვარი.

ვ. შალიკაშვილი ღირსია ამ სახელის. „ხელოვანი—მხატვარი“. საგანგებით გამოხატავდა ამ სახელს. იგი უბრალო ხაზებით გადმოგვცემდა იმას, რაც სხვას არ შეეძლო. უძლური იყო. ვ. შალიკაშვილს კარგად ჰქონდა შეთვისებული ის სმენის რეგულიატორი, რომელიც მსახიობში ჰქმნის წინადგრძნობას, ერთგვარ ინსტინკტს გმირის პსიხოლოგიის გაგებისადმი. მსახიობი ყოველთვის განიცდიდა და ამ განცდით ჰქმნიდა მშვენიერ არტისტიულ სილუეტებს. მხატვრული ზომიერება მსახიობის განუყრელი თვისება იყო.

ბოლოს დროს იგი აჩრდილს დაემგზავსა. და ამ აჩრდილის ხილვაზე წარმოგიდგებოდათ მისი ტირეზი ოდიპოს შეფეში. განწირული სახე. წინასწარმეტყველის ენა, კვერთხით ხელში, თმა აბურძგვნილი კადმოსის ველის, მთა-გრეხის მოხუცი. პეშმარიტად! მან შეჰქმნა კლასიკური სატირეზის!

დღეს ამ ქართველ ტანჯულ მსახიობს ჩაუშვებენ საფლავში. არ გაის-

მოქალაქენო!

დღეს საღამოს 9 საათზედ გათავდება ვადა საარჩევნო სიების შესწორებისათვის.

ნახევარზედ მეტი ქართველი ამ მრჩევლებისა შეტანილნი არ არიან სიებში.

შეტანილთა შორის 10,000 ქართველ ამომრჩევლებისა განადგურებულია სომხების მიერ.

თუ გინდათ თქვენი დედა ქალაქ დაიხსნათ სომხების ტყვეობისაგან მიდით საარჩევნო კომიტეტში და შეტანეთ თქვენი სახელი.

დღეს კიდევ მოესწრება შეცდომის გასწორება; დაგვიანება ღალატს ეფარის!

მართლმადიდებელ ეკლესიის კათალიკოს სცნობს უმაღლეს საეკლესიო ეუფლებად ამიერ კავკასიაში და მხურვალე სურვილს გამოსთქვამს, რომ ამიერ კავკასიის ელლინთა სამრევლონი სრულიერ ერთიანობას განამტკიცებენ საქართველოს ეკლესიასთან და ამიერ კავკასიის ელლინთა ეკლესიის სამფლობელოება კანონიერის წესით ექვემდებარებოდეს საქართველოს ეკლესიას“.

† ვ. შალიკაშვილი.

გურიაში სოფ. აკეთში დაუსრულებელ ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა ქართველი მსახიობი ვალერიან შალიკაშვილი.

ვ. შალიკაშვილი არ იყო პოლიტიკური მოღვაწე და მიტომაც არ ასტყდა განგაში.

იგი მსახიობი იყო, პეშმარიტი ხელოვანი.

ჩვენ კი ბარბაროსულ დროში ვცხოვრობთ.

მალე ვივიწყებთ რაც უჩუმარია, მაგრამ დიადი. გვერდს უხვევთ რაც ადამიანის ასამაღლებელია და სტატაკი!

ვ. შალიკაშვილი!

ნამდვილი ქართველი მსახიობი! თავის დირსებით და ნაკლით. მოვალეობამ ბევრი რამ დააკისრა რაც არ შეეჭფეროდა და არ შესწევდა მის ბუნებას. მსახიობმა იგრძნო რომ მარტო მსახიობობით ქართულ სცენას ბევრ ვერაფერს შესძენდა. და მოჰკიდა ხელი კალამს. სწერდა პიესებს, სთარგმნიდა, ლაპარაკობდა ქართულ თეატრის ბედს და უბედობაზე. მაგრამ როგორც ყოველ ქართველს, ისე ვ. შალიკაშვილს არა ჰქონია მკვიდრი ნიადაგი. რყევა და შიში მუდამ თან ახლდა მსახიობს. მან ბევრი სულიერი გარდატეხა გადიტანა. გაიტანჯა სულით და ხორცით, მაგრამ მაინც არსება მისი არ სცხრებოდა. ცხოველყოფილი მისი ტემპერამენტი მუდამ ფართე მოღვაწეობას ეძებდა. იგი რეჟისორობდა კიდეც. მაგრამ აქაც შებორკილი ყოფილა, ნიჭი ფრთას ვერა ზლიდა. გასაქანი არსად იყო. და ვ. შალიკაშვილიც ჩაიხრჩო ჩვეულებრივ ზაბლონში.

ვ. შალიკაშვილის სიძლიერე არც კალამში იყო და არც რეჟისორობაში.

იგი ნამდვილი მსახიობი იყო. მსახიობი, რომელსაც თამამად შეეძლო ფეხი შეედგა განახლებულ ახალ ქართულ თეატრში, მაგრამ მძვინვარე ბლექმა ეს არ აცალა. უდროოდ წავიდა ხელოვანი—მხატვარი.

ვ. შალიკაშვილი ღირსია ამ სახელის. „ხელოვანი—მხატვარი“. საგანგებით გამოხატავდა ამ სახელს. იგი უბრალო ხაზებით გადმოგვცემდა იმას, რაც სხვას არ შეეძლო. უძლური იყო. ვ. შალიკაშვილს კარგად ჰქონდა შეთვისებული ის სმენის რეგულიატორი, რომელიც მსახიობში ჰქმნის წინადგრძნობას, ერთგვარ ინსტინკტს გმირის პსიხოლოგიის გაგებისადმი. მსახიობი ყოველთვის განიცდიდა და ამ განცდით ჰქმნიდა მშვენიერ არტისტიულ სილუეტებს. მხატვრული ზომიერება მსახიობის განუყრელი თვისება იყო.

ბოლოს დროს იგი აჩრდილს დაემგზავსა. და ამ აჩრდილის ხილვაზე წარმოგიდგებოდათ მისი ტირეზი ოდიპოს შეფეში. განწირული სახე. წინასწარმეტყველის ენა, კვერთხით ხელში, თმა აბურძგვნილი კადმოსის ველის, მთა-გრეხის მოხუცი. პეშმარიტად! მან შეჰქმნა კლასიკური სატირეზის!

დღეს ამ ქართველ ტანჯულ მსახიობს ჩაუშვებენ საფლავში. არ გაის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეაბ მჭეძარე ხმა ორატორის, არ შეამკობენ მის კუბოს ძვირფას ხრიზანტემებით, სურნელოვან ყვავილებით. უჩუმარი ხელოვანი უჩუმრად მიდის წუთი სოფლიდან და რას სტოვებს იგი?

არაფერს!

მარმალი იყო ედმონდ კინი: მსახიობი მაღალ პიდიესტალიდან პირდაპირ შავბნელ უფსკრულში ვარდებაო.

და შავი სამარე, უფსკრული, მძიმედ მიიღებს მსახიობს.

ტანჯა ფრიად, ეპყრა ხელოვნების ციური წვა, განიცადა ძიმწარის წვეთი და შესვა ფიალა სიმწარის და სიტკბოების!

სუსხი ბუნება გადიკლის და გამოაშუქებს დღეს ბრწყინვალეს. მაშინ აღიმართება წამების ჯვარი მის ცივ საფლავზედაც.

ვ. გარრიკი.

რუს ებრაელთა „ველიკოდერჟავნიკები"

ყველაფერს მოესწრება ბედკრული საქართველო, რომელიც მხოლოდ ეხლა, დიდი ხნის ტანჯვის შემდეგ შესდგა აღორძინების გზაზე. შესაძლებელი იყო ეფიქრა ყოველ ქართველს, რომ მისი სამშობლოს თავისუფლებას გაუჩნდებოდა მტერი მხოლოდ გაბატონებულ ერზი და არასოდეს რუსეთის დესპოტიზმის მიერ დაჩაგრულ ერებში მით უფრო შეუძლებელი იყო ვისმე წარმოედგინა, რომ მტერი საქართველოსი მოიძებნებოდა რუს-ებრაელების შორის, რომელნიც ასე ხშირად იჩაგრებოდნენ რუს დამრბეველთაგან.

მაგრამ ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა ამ ქვეყნად, თბილისში მოკალთებულმა მდიდარმა ებრაელებმა არ მიჰბაძეს ისეთ თანამოქალაქეს როგორიც არის ნაფიცი ვექილი მათე გრუზენბერგი, რომელიც ჯერ კიდევ ისეთ დროს იცავდა ქართველი ხალხის ინტერესებს, როცა ზოგიერთ გადაგვარებულ ქართველს ხელრიანად არა ჰქონდა შეგნებული მამულიშვილობა, სახელდობრ 1905 წ., როდესაც იურიდიულ საზოგადოებაში ირჩეოდა საკითხი საქართველოს ავტონომიისა, რომელ იდეის მხურვალე მოშრეთ გამოვიდა ხსენებული გრუზენბერგი.

დიახ, ამ თავიანთ მოძმეს არ მიჰბაძეს თბილისში მოსულმა მილიონერმა ებრაელებმა: ოდესელმა ძმ. კარლინსკებმა, მაიზელსონებმა და სხვ! ამ პირებმა დაისახეს „დიდი რუსეთის" იდეის განხორციელება ჩვენს მხარეში ვექილ ცეიტლინის მეთაურობით. ამ ცეიტლინმა შეჰქმნა ეს ტრესტი საქართველოში მოსულ რუს ებრაელებისა და ქართველი ხალხისათვის მავნე იდეების გასავრცელებლად შეაძენინა ბ. ხაჩატუროვისაგან „ტიფლისკი ლისტოკი", რომლის რედაქტორად მოაწვევინა თავისი ქუთაისური ამხანაგი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დუბროვსკი, რომელმაც ცეიტლინსავით ქართული იცის. ამ კომპანიამ შეიერთა ქართველი-ჟამია სომხებიც და ამგვარად შეუმატებლებულმა რუსეთის „ველიკოდერჟავნიკებმა" დაიწყეს ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება.

თან გვეფიცებიან ერთგულებაში, თანაც მზაკვრულად სახელს გვიტეხენ ქვეყნის თვალში.

ნუ თუ ამ სახელოვან წრეს კიდევ დიდხანს მოუხდება ჩვენში მოქმედება?

ამ საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია სხვათა შორის, ქართველი მკითხველის ყოფა-ქცევაზე: როგორც ცნობილია რუსული გაზეთების მთავარი გამსაღებელი, ქართველი ინტელიგენცია არის.

ნემსი.

ქართული აკადემია

„ამიერ დასცხრა აკადემიად,
ამიერ დადუმნა ესვ სტოად;
ამის მიერ უქმ არს პერიპატოდ".

ეფრემ მცირეს „უწყება".

ქართული აზრი ამთავითვე მოჰქონდა ქართულ აკადემიას ანუ, როგორც ბელები ამბობდენ, აკადიმიას.

პარხალი, ოპიზა, ხახული, გელათი, ყალთო, გრემი, აი წმინდა სავანეები ქართულ აკადემიებისა.

ტბეთი, იშხანი, ხანმთა, ტანძრისი, ბუთაისი, ბიჭვინტა, მცხეთა, მანგლისი, ყაროსთავი, შემოქმედი, კუმურდო, ბარეჯა, თბილისი, აი ადგილები, სადაც საეკადემიო მეცნიერების გასავრელად იზრდებოდა ქართველი ახალგაზდობა.

ათონი, პალესტინა, სინა, კალიპოსი, ეტრიჩი, კონსტანტინოპოლი, აი შუადელები, საცა ქართველები თავიანთ სკოლა-სემინარია-აკადემიებში სწავლობდნენ ენებს ბერძნულს, ასურულს, არაბულს. აგრეთვე მათს ფილოსოფიას, მათს მეცნიერებას საზოგადოდ.

შინაურ აკადემიებში სწავლის დასრულება და სამზღვარ გარეთებში ამ სწავლის შემოფარგლა და უმაღლესი განვითარება გონებრივი, სულიერი აღორძინება, უზენაესი აზენება, აი პროგრამა უწინდელ ქართველობისა, აი სწრაფვა საგანმანათებლო ჩვენთა მამა-პაპათა.

ეს პროგრამა ეკავა ქართველობას მრავალ ას-წლოვან ისტორიის სარბიელზე ვიდრე ღრკუ მმართველების მუღლი და ერთურთი მტრობა არ მილევდა დიდებულ საქართველოს ხმოვან თავისუფლებას 1801 წელს.

მანამდე-კი სწორეთ ეს აკადემიები ზრდიდენ ისეთ პირველ ხარისხოვან მწერლებსა, მგალობლებსა თუ მქადაგებლებს, ვით სიდონია, იაკობი, გრიგოლ ხანმთელი, სერაპიონი, სტეფანე და ივანე მტბევრები, მინჩხი, კურდანაი, გიორგი მერჩული, გიორგი მცირე, ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელები, პეტრიწონელი მამები, არსენი დიდი, არსენი ბულმაისიბიძე, ანტონი დიდი, იოანე ბოლნელი, ზაქარია ვალაშკერტელი და მრ. სხ., აგრეთვე მგოსნები ფილიპე, არსენი იყალთოელი' იონე შავთელი, მოსე ხონელი, ჩახრუხაძე, შოთა, თეიმურაზს, დავით გურამიშვილი, ბესიკი, პირველ ხარისხოვანი მხატვრები სვიმონ დვალი, ბექა, ასათი, დიდი მეფეები, ვით აშოტი, ბაგრატი, აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგ სჯულმდებელი, ისტორიკოსები, დიდი სარდლები, ვით თორნიკე ერისთავი, ცოტნე დადიანი, შალვა ახალციხელი, ერეკლე II, ლევან ბატონიშვილი.

რამდენი კიდევ ღირს სახსოვარი სახელებია, რომელთა ჩამოთვლა ჩვენ მოგვღლიდა და გაზეთს აავსებდა!

და ამათ ხომ კიდევ ემატებიან ნიკო ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და ბევრი სხვა ისეთი საჩინო მწერლები და მოღვაწენი, რომელთაც სწავლა მიიღეს უწინდელ აკადემიების ნამუსრევებში. რუსების მიერ მოწყობილი სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში.

რახან ეს ასრე იყო, ჩვენ მოველოდით, რომ საქართველოს განთავისუფლების ხანაში არ „დასცხრებოდა აკადემია . არ „დადუმდებოდა სტოაი", არ „გაუქმდებოდა პერიპატოი". არამედ როგორც ყოველს დაწინაურებულს სახელმწიფოშია, უნივერსიტეტი გემნაზიებთან ერთად განათლების საქმეს პირიანად გაუძღვებოდა ჩვენი ეროვნული აკადემიაც თავის შესაფერ სემინარიითა თუ სემინარიებით; ამას მოველოდით უფრო იმიტომ, რომ ძველ აკადემიებს ჩვენთვის დაუტოვებიათ იმსიდო და ისეთი ღირსების გონებრივი მემკვიდრეობა—აუვარებელი, პირდაპირ თითით საჩვენებელი პირველ ხარისხოვანი სამწერლო საუნჯეები, რომელთა შესწავლა, ხარისხებად დალაგება, გამოკვლევა, გამომზეება შეადგენს სწორედ საეკადემიო საგანს, აკადემიკოსთა საღმრთო მოვალეობას.

აი ამიტომ საჭირო იყო არა ერთად ერთ სემინარიის მოსპობა, გემნაზიად გადახალისება, არამედ მისი გაეკადემიება, ხოლო სასულიერო სასწავლებლების სემინარიებად გადაკეთება. და ამათთვის ისეთ პროგრამის შემუშავება, რომ მოსწავლეებს მათში შეეთვისათ მხოლოდ ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა.

აკადემიის მძღოლებად შეგვეძლო მოგვეწვია ალ. ცაგარელი (რეკტორად), კორკეველიძე (დეკანად), ხოლო პროფესორებად თუ გინდ გრ. რობაქიძე, ი. სანებლიძე, მ. კელენჯერიძე, ევს. ნიკოლაძე, ვ. ბარნოვი, ი. ვართაგავა, ან. ნატროშვილი, დ. პატარაშვილი და სხ.

და ამის მაგიერ, რაღაც გაუგებრობით, არა თუ დავაარსეთ აკადემია, თვით ერთად ერთი სემინარიაც, ეს „ალმა მატერი" გაბრიელის, ნ. ჟორდანიასა, გ. გიორგაძისა, ი. გოგებაშვილისა, ნ. ცხვეთაძისა, თ. ჟორდანიასი, ლეონიდისა, კირიონისა და მრ. ჩინებულ მოღვაწეთა, ჩვენ მოვსპეთ დავადუმეთ ის კერა, რომლის მოწაფეები საუკუნის შავ-ბნელ მონობის დროს, თითქმის მარტოკა ატარებდნენ ეროვნულ აზრსა და სწრაფვას და არათუ მარტო ამას, არამედ თავმოყრილნი სხვა და სხვა კუთხიდგან, ეცნობოდნენ ერთ-ურთს და უნერგავდნენ ერთმანეთს სამშობლო ქვეყნის მსახურების უსაღვთოეროობას.

მე მგონია, კიდევ დრო არ არის დაკარგული და ჩვენმა მთავრობამ თუ კეთილ ინება, ძვირფას ეროვნულ უნივერსიტეტთან ერთად აღორძინებს ძვირფასსავე ეროვნულ აკადემიასაც.

მ. ჯანაშვილი.

სოციალისტური პარტიები ებრძვიან კერძო საკუთრებას. თუ გინდათ რომ აყვავდეს სასოფლო მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა და საქართველო ქონებრივად მოლონიერდეს, ხმა უნდა მისცეთ ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის სიას № 2.

გზათა მინისტრის ივანე ლორთქიფანიძის მიერ თავის მოღვაწლა

გუშინ 22 იანვარს ნაშუადღევის 12 საათზედ. საკუთარ ბინაზედ თავი მოიწამლა გზათა მინისტრმა ივ. ლორთქიფანიძემ. მოწამლული არამიანცის საავადმყოფოში გაგზავნეს. მდგომარეობა ფრიად სერიოზულია. მიზეზი ჯერ-ჯერობით საეს ებით გამორკვეული არის.

გუშინ წინ 21 იანვარს 8-ნ ლორთქიფანიძე მთავრობის შემადგენლობიდან გამოსულა და სამსახურისათვის თავი დაუნებებია.

მთავრობიდან გასვლას სოც.-რევოლუც. პარტიის მიერ ჩადენილ შეუწყნარებელ საქციელს უკავშირებენ.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

ლატიშელი წითელგვარდიელები.

ლატიშელი წითელგვარდიელნი შეუერთდენ საბჭოთა ლატიშელ ჯარს და როვნოს მიმართულებით 16 იანვარს ახალი პოზიციები დაიკავეს.

სამხედრო ტყვეები გერმანიაში.

28 იანვრის შემდეგ გერმანიაში დარჩებიან მხოლოდ ის სამხედრო ტყვეები, რომლების გადაყვანა ახლა შეუძლებელია.

სააგიაციო მიმოსვლა პარიზსა და ლონდონს შუა.

ელზას-ლორენთან დამოკიდებულების გასადვილებლად, პარიზსა და ელზას-ლორენის შუა სააგიაციო მიმოსვლა დაიწყო.

ებრაელთა ემიგრაცია.

მოსალოდნელია ებრაელთა ემიგრაცია ემიგრაცია ამერიკიდან. ისინი თავიანთ სამშობლოში ბრუნდებიან.

ბოლშევიკური ცნობები.

უკრაინის დირექციის წარმომადგენელი.

მოსკოვი, იანვრის 20 (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი). **მერეფა**, იანვრის 18. კიევიდან ადესაში ჩამოვიდა უკრაინის დირექტორიის წარმომადგენელი პოლკოვნიკი გრეკოვი, რომელიც ეცადა გენერალ გორსუსომთან მოლაპარაკებას. გენერალმა გრეკოვი არ მიიღო. გრეკოვი კიევში დაბრუნდა.

ბოლშევიკების რაზმი.

უფა, იანვრის 16. ხაბაროვსკიდან ციმბირის გაზეთებს ატყობინებენ, რომ წითელი ჯარის რაზმი ამხანაგ კონტოვიჩის სარდლობით მდ. ალდანისკენ იწევს. ბოლშევიკების რაზმი ციციკართან გამოჩნდა.

რკინის გზის მუშების აჯანყება.

ომსკი, იანვრის 16. ბოლშევიკების შემოტევის დროს ომსკში აჯანყდენ რკინის გზის მუშები. აჯანყებულებმა იარაღი აჰყარეს რკინის გზის მცველებს, დაწყვიტეს ტელეგრაფის მავთულები და ამით თეთრგვარდიელები დასავლეთ ასპარეზზე მოსწყვიტეს.

ფოსტის მიმოსვლის აღდგენა რიგის რაიონში.

რიგა, იანვრის 16. დვინსკის, ტუკუმომის, ბაოსკის, დობრენის, ვალკის და ვალმაროვის შუა საფოსტო მიმოსვლა აღდგენილია.

გენ. ბლიზეს დანიშვნა.

რიგა, იანვრის 18. რიგაში აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეთ ლინდე აირჩიეს. სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის გადაწყვეტილებით დახვრიტეს: 1905 წლის დამსჯელი ექსპედიციის უფროსი გენერალი ბლიზე და პროვოკატორი დაკნერი.

კომუნისტები კოვნოში.

კოვნო, იანვრის 18. კომუნისტებმა გერმანელთა დაუკითხავად მოაწყვეს მუშათა კრება. პოლიციამ ალყა შემოარტყა იმ შენობას სადაც კრება იყო. ჩრეკის დროს დააპატიმრეს 47 კომუნისტი და თავმჯდომარე ხასხეზების გამოკვებისათვის

პარიზის უმაღლეს სასურსათო საბჭომ დაადგინა, რომ ყველა განთავისუფლებულ ოლქების და სომხეთის გამოსაკვებად მომავალ ზაფხულამდე საჭირო იქნება 80 მილიონი გირვანქა სტერლინგი. საბჭომ დაადგინა აგრეთვე შეეკითხოს შეთანხმების სახელმწიფოებს, თუ რა საშუალებით შეიძლება ამ ფულის მოგროვება.

საქართველოს პარლამენტში.

19 იანვრის სხდომა.

კრება იხსნება საღ. 7 საათზე, თავმჯდომარეობს ე. თაყაიშვილი.

გრძელდება კამათი აგრარული კანონ-პროექტის გარშემო.

მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხიმერიკი. მოქალაქენო! აგრარული საკითხი შეადგენს უდიდეს პრობლემას. აქ თავს იყრის მთელი საზოგადოების ინტერესები. დემოკრატია მუდამ წინ აყენებდა მას, მაგრამ ძველი წყობილება სცდილობდა ძველი ურთიერთობა დაეცვა ამ საკითხში. პირველი საათობირო ამ საკითხის გამო დათხოვნილ იქმნა. ასევე მოუვიდა მეორე საათობიროსაც და მოხდა ცვლილებები: შესცვალეს არჩევნების წესი და აირჩიეს ისინი, ვინც მემამულეთა ინტერესებს დაიცავდა. მაგრამ იფეთქა 1917 წლის მარტში რევოლიუციამ და ეს კითხვა პირველ დღიდანვე წინ წარმოსდგა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. ხელმძღვანელმა დემოკრატიულმა წრეებმა ის დღის წესრიგში დააყენეს. მაგრამ მოხდა ერთი რამ, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ: მოხდა შეცდომა, რასაც დამფუძველი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის—ეს კითხვა გადასდვეს დამფუძნებელი კრებისთვის, მაგრამ დამფ. კრების მოწვევა გაჭიანურდა. ის ვერ შეიკრიბა მოკლე ხანში და მიწის საკითხი გადადებას ვერ ითმენდა. ბევრ ადგილას გლეხკაცობა თვითონ შეეცადა მიწის საკითხის გადაჭრას. ამ ნიადაგზე დაიბადა უთანხმოება, ბრძოლა, რომლის დროს თავი წამოყო რეაქციამ. რეაქციამ ნიადაგი მოუპოვა ანარქიას, ანარქია და რეაქცია—ეს ტყუპი, რომელიც იძლევა საათავეს კონტრ-რევოლიისას, ამ ნიადაგზე პოულობს გასავალს. ჩვენში ეს კითხვა, რასაკვირველია, ისევე იდგა, როგორც რუსეთის მოლიანი დემოკრატიული ფრონტი აყენებდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ დამფუძნებელი კრება არ იქნებოდა დროით მოწვეული. ჩვენი დემოკრატიული ორგანიზაციები შეეცადნენ გადაეჭრათ ეს კითხვა; ჩამოუშორდით რუსეთს, რუსეთის მოძრაობას და თვითონ შეუდექით ამ საკითხის გადაწყვეტას. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი მიწების ჩამორთმევისა. აქ არ იყო განსაზღვრული პირობები ჩამორთმევისა, ეს შეასრულა სეიმმა: განაწესა ნორმა, რომელიც მემამულეებს უნდა დარჩენოდა და დანარჩენი გადასულიყო სახელმწიფოს ხელში. მ.—მ. სამინისტროს ბევრი დაბრკოლება შეხვდა, მეტად ძვიმე პირობებში მოუხდა მას ამის გატარება. სოფელში ბევრ ადგილა ანარქია მძვინვარებდა (მ. მაჩაბელი: ანარქია თქვენი დეკრეტის მერმე იყო). ჩვენ ვიცით. სწორედ სანამ ამიერ-კავკასიის სეიმი გამოსცემდა 7 მარტის კანონს, სანამ პრაქტიკულად შეუდგებოდა კანონის განხორციელებას, სანამ იყო ძლიერი ანარქია. სწორედ ამ კანონის გამოსვლამდე იყო, რომ მემამულეების ხოცვა-ჟლეტას შეუდგნენ. შემდეგ, რასაკვირველია, კანონის გამოცემა უცბად ვერ ჩაეჭრობდა ამას. როდესაც გლეხები დარწმუნდნენ, რომ აგრარულ რეფორმას მთავრობა მართლა გაატარებდა, მაშინ ანარქია მოისპო და ისინი მთავრობას ამოუდგნენ გვერდში. ეს ფაქტია, რომელსაც ვერვინ აუარჰყოფს. მაგრამ მარტო მიწის ჩამორმევა ვერ გადასწყვეტდა საკითხს. საჭირო იყო გამოგვერკვია, თუ რაგვარი ფორმა მიწის მფლობელობისა შეეფერებოდა ჩვენს ქვეყანას. ამ მეორე ნაწილის შესრულება უნდა მომხდარიყო ახლო მომავალში ამისთვის საჭირო იყო მასალები. როდესაც ჩვენ პირისპირ შეუდექით გლეხს, დავრწმუნდით, რომ ამ საკითხის გადადება შეუძლებელი იყო, და საჭიროდ დავინახეთ ამ წარმოდგენილ კანონ-პროექტით შეგვესრულებინა რეფორმის მეორე ნაწილი (მ. მაჩაბელი: ახალ ანარქიას ამით დაჰბადებთ) მაგას დავინახავთ. მენატონეთა მფლობელობა ხელს უშლიდა და უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას. ის პარტია, რომელიც მთავრობას უდგას სათავეში, ასე უყურებდა საკითხს. საკითხის გამოსარკვევად საჭირო იყო ანალიზი; ოპონენტებმა არაფერი სთქვეს, თუ როგორია ჩვენი სასოფლო მეურნეობა. იმ ფაქტებით, რომელიც ჩვენ გვაქვს, იმ მასალით და ციფრებით, რომელიც ჩვენ ხელ არის, დარწმუნებით, რომ საჭირო იყო სწორედ ასეთი კანონ-პროექტი.

რა პირობებში მოხდა თბილისის და ქუთ. გუბერნიებში გლეხთა განთავისუფლება? 1860—61 წლის აღწერილობით თბილისის გუბერნიაში იყო 1751 მებატონე: ამათში 1537 ყმებითა და მიწა-წყლით, ხოლო 214 ყმებით და უმიწაწყლოდ. ეს უმთავრესად წვრილი მებატონეები იყვნენ. ყმების შრომას ვერ ჰქონდა აქ გასავალი მებატონის მიწაწყალზე და ამ გარემოებამ წარმოშვა ხიზნობა. 27 პროცენტი გლეხობისა იხიზნებოდა სხვაგან სამუშაოს საძებნელად. 1864 წლის ოქტომბრის 14 მოხდა გლეხთა განთავისუფლება. 1335 კომლს ნადელი სულ არ მიუღია, 381 კომლს არ მიუღია ეზო, განთავისუფლებამდე თითო კომლს, ეჭირა 6 დესეტინა მიწა, განთავისუფლების შემდეგ კი 3,9 დეს. —ერთი ნაწილი გლეხობისა სულ უმიწაწყლოდ იქმნა განთავისუფლებული. ასე რომ ბატონყმობის გადავარდნიდან ჩვენში ჩაეყარა საფუძველი უმიწაწყლო გლეხობას; მიწის გადასახადი გადიდდა: ერთი მეოთხედი მთელ შემოსავლისა მებატონისათვის უნდა ეძლია გლეხს; ასე ეწერა ქაღალდზე, ნამდვილად კი ბეგარა შემოსავლის ნახევარს უდრიდა. მიწის გამოყიდვა დამოკიდებული იყო მებატონეზე. რეფორმამ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა მებატონე და გლეხი, რომ შეუძლებელი იყო მებატონეს მოესურვებია, რომ გლეხს გამოეყიდა მიწა. არ

საარჩევნო მუშაობა

ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სიის № საქართველოს დამფუძნებელ კრების და ქალაქ თბილისის არჩევნებში არის

№ 2

პარტიული ორგანიზაციები უნდა შეეცადონ, რომ ყველგან, საქალაქო არჩევნებშიაც, ჩვენი პარტია ამ №-ით გამოვიდეს.

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის მეთაურმა კომიტეტმა დამფუძნებელი კრებისა და თბილისის საქალაქო არჩევნებისათვის მოსაწყობად აირჩია ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი სამი პირისაგან: ალექსანდრე ასათიანი, პართენ გოთუა და ლეონ ჯაფარიძე. კომიტეტის მდივანია მ. ხერხეულიძე.

ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა და დაინტერესებულმა პირებმა პირდაპირ უნდა მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტს, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზე № 5—მთავარ კომიტეტის ბინაზე; კანცელარია ღიაა დილის 9 საათიდან სადამის 9 საათამდის.

საჭიროებისამებრ და საჩქარო საქმეების გამო შესაძლებელია მიმართონ პირადათ კომიტეტის წევრებსაც მათ ბინაზე:

3. გოთუა—ბელინსკის ქ. № 1 ტელ. № 7—75.

ალ. ასათიანი და ლ. ჯაფარიძე—მატინოვის ქუჩა № 17, ტელ. 16—95.

პარტიულ ორგანიზაციებს

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და იმ პირთ, რომელთაც კომიტეტისაგან მიღებული აქვს რაიმე დავალება, სწრაფად აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს საქმის ვითარება, და ყოველი საყურადღებო ცნობა, რომ საარჩევნო კომპანიაში შესაძლებელი იქნეს ყველა პარტიულ დაწესებულებათა მტკიცე ორგანიზაციაში შეკვრა.

პარტიის წევრთა და თანამგრძნოთ

ეროვნ.-დემოკრ. პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი სთხოვს ყოველ პარტიის წევრს და თანამგრძნობს, რომელნიც მიემგზავრებიან პროვინციაში, წასვლის წინ შემოიარონ ცენტრალურ კომიტეტის ბინაზედ, სასახლის ქუჩა 5. და იკისრონ სხვა და სხვა საჭირო და საჩქარო დავალება საარჩევნო კომიტეტისაგან.

კომიტეტი ესეთივე თხოვნით მიმართავს იმ პირთაც, რომელნიც პროვინციიდან ბრუნდებიან აცნობონ კომიტეტში, ან რომელიმე კომიტეტის წევრს მდგომარეობა იმ მხარისა, საიდანაც ზემოხსენებული პირი მობრძანდება.

პარტიულ ახალგაზდოგას!

საარჩევნო კომპანია დაიწყო.

არჩევნების შედეგი ჩვენს მუშაობაზედ არის დამყარებული.

ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზდობა უნდა ამოქმედდეს მთელი თავისი ენერგიით.

ყოველი პარტიის წევრი და თანამოაზრე უნდა გამოცხადდეს პარტიულ კომიტეტებში და მიიღოს სათანადო დავალება.

თბილისში მყოფნი უნდა გამოცხადდნენ მთავარი კომიტეტის ბინაზედ, სადაც იმყოფება ცენტრალური საარჩევნო კომიტეტები და ჩაებან საარჩევნო მუშაობაში.

ყოველი კაცის გარჯა დიდ ნაყოფს გამოიღებს!

საარჩევნო სიები

თბილისის ქალაქის გამგეობამ გამოაქვეყნა ქალაქის საარჩევნო სიები, მაგრამ მათ სასტიკი შესწორება სჭირდებათ. მრავალი ამომრჩეველი სრულებით შეტანილი არ არის; მრავალი ამომრჩევლის ბარათი დახეულია იმ ბოროტმომქმედთა მიერ, რომელთაც 10,000 ბარათი გაანადგურეს ქალაქის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ყოველი მოქალაქე ვალდებულია თითონ მოიკითხოს თავის საარჩევნო უბანში და გაიგოს შეტანილია თუ არა სიაში; თუ შეტანილი არ არის სიაში, თითონ შეატანიოს თავი, წერილებით ან სიტყვიერათ.

რომ სიაში შეტანილ იქმნენ, ქართველებს არაგვითარი საბუთები არ სჭირდებათ გარდა მეტრიკული მოწმობისა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ შეხედულება 20 წელზედ ნაკლები აქვს.

ამ სიებით მოხდება საქალაქო არჩევნებიც 2 თებერვალს და დამფუძნებელი კრებისაც 14, 15, 16 თებერვალს. ვინც ეხლა არ მოხდება სიაში, ის ვერც ერთს არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ისწრაფეთ შეიტანონ შესწორებანი სიებში.

სიების გასწორებისთვის მხოლოდ ორი დღე დარჩა: 21 და 23 იანვარი.

საუბნო კომიტეტები მოთავსებულია შემდეგ ადგილებში:

1) საარჩევნო უბ. ქალაქის პირველდაწყებითი სასწავლებელი, ოლდას ქუჩა, 52, სახლი მაჩაბლისა.

2) საარჩევნო უბ. პირველი ვაკეთა გიმნაზია, გოლოვინის პრ.

3) საარჩევნო უბ. მესამე ვაკეთა გიმნაზია, ლერმონტოვის ქუჩა.

4) საარჩევნო უბ. მანთაშევის ქარვასლა, სომხის ბაზარი № 62.

5) საარჩევნო უბ. პუშკინის ქალაქის სასწავლებელი, ვარანცოვის ქუჩა.

6) საარჩევნო უბ. ნადეჟდის თავშესაფარი.

7) საარჩევნო უბ. ავლაბრის კლუბი, ზამთრის შენობა.

8) საარჩევნო უბ. პირველი საკომერციო სასწავლებელი.

9) საარჩევნო უბ. ქალაქის სასწავლებელი პეტრე დიდის სახელითა, ჩერქეზიშვილის ქუჩა 29.

10) საარჩევნო უბ. სახალხო სახლი ზუბალაშვილისა.

11) საარჩევნო უბ. ნაძალადევის თეატრი, ჩერქეზიშვილის ქუჩა.

12) საარჩევნო უბ. რკინის გზის სასწავლებელი.

13) საარჩევნო უბ. საბურთალოს კომისარიატი.

განცხადებების შეტანა შეიძლება დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

მიტინგი

კვირას, დილის 11 საათზე, ქართულ კლუბში გაიმართება ერ.-დემოკრატების, რადიკალ-დემოკრატების და უპარტიოთა მიტინგი ქალაქის არჩევნების შესახებ. სიტყვებს წარმოსთქვამენ: გვაზავა გიორგი, ასათიანი ალექსანდრე, გოთუა პართენი და სხვანი.

მთავრობა, არც მებატონე არ უწყობდნენ ხელს გამოსყიდვას. მებატონეს სრული საშუალება ეძლეოდა ღალის სახით რაც შეიძლება მეტი ბეგარა აეღო გლეხისაგან. ღალის სისტემით ის ადვილად იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს და ამიტომ ნაციონალური მეურნეობის განვითარებაზე ის არც კი ზრუნავდა. მე აქ დავიმოწმებ ისეთ პირებს, რომელსაც სოციალისტების მიკერძოებას ვერავინ დასწამებს: გრაფ ვორონცოვ-დაშკოვი თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ამბობს: „აგრარულმა რეფორმამ ჩვენში გამოიწვია მიწის მოსავლის დაცემაო“.

„გლეხთა ნადელებში არ შესულა ტყე და საძოვარი ადგილები, ეს გარემოებაც მეტად უშლიდა ხელს მეურნეობის განვითარებას. ამ რიგად გლეხთა ერთი ნაწილი განათავისუფლეს უმიწაწყლოდ, მეორეც მხოლოდ ნაწილობრივ იქმნა განთავისუფლებული. აქ უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ მემამულეებს უფლება ჰქონდათ ამოერჩიათ ის ნაკრები, რომელსაც თვითონ იტოვებდნენ. ყველაფერი ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენში დღესაც გლეხი ეწევა მეურნეობას მამა პაპეულის წესით და ვერ განვითარდა ინტენსიური კულტურა. ამიტომ გაუქმება იმისა, რაც 1864 წლის რეფორმამ მძიმე უღლად დაადვა კისერზე გლეხობას, ჩვენის მხრით იქნება დიდი, უდიდესი ნაბიჯი.

მიწადმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.** როდესაც ვლაპარაკობთ კერძო საკუთრებაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი პირობები გვიკარნახებს ამას. ეს არა იმიტომ, რომ გვინდა შევეგუოთ გლეხთა სურვილებს. არა ეს რომ ჩვენს საბოლოო მიზანს უშლიდეს, მაშინ რასაკვირველია ჩვენ ამ ზომას არ მივიღებთ, და რადგან ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს საბოლოო მიზანს, და პირობებიც მას მოითხოვენ, ამიტომ ჩვენ მივმართეთ ამ ზომას და გადავწყვიტეთ გადავსცეთ მიწები გლეხებს კერძო საკუთრებათ. ამ მიწების განსაზოგადოება არ შეუწყობს ხელს სასოფლო მეურნეობის განვითარებას. პირიქით, ვინაიდან ეს მიწები გაბნეულია პატარ-პატარა ნაკრებად, მისი გადაცემა გლეხებისთვის იქნება დიდი პროგრესიული ნაბიჯი, თუ აქამდე ეს ჩამონაკრები ხელს უშლიდა გლეხს გაეუმჯობესებინა მეურნეობა, ამიერიდან ამ ჩამონაკრების გადაცემა საშუალებას მისცემს მას ისარგებლოს თანამედროვე ტეხნიკით და მეურნეობა განავითაროს. თქვენ, ბატონებო, დაინახეთ თუ რა მოჰყვა რუსეთში სოციალიზაციის გამოცხადებას. თქვენ იცით, რომ დამფუძნებელმა კრებამ და შემდეგ ბოლშევიკებმა მიიღეს მიწის სოციალიზაცია და ალბად, ისიც იცით, თუ რა შედეგები მოჰქვა ამას, ეს მოხდა იქ, სადაც სათემო მეურნეობა იყო და სამეურნეო პირობები ისეთი, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს მიწის სოციალისაციას. სადაც 6—8 თვე თოვლი ძევს, იქ შესაძლებელია დაცულ იქნეს საზოგადო საკუთრება. მაგრამ იქ, სადაც ძვირფასი კულტურაა—ვენახი, ჩაი, მანდარინი—როგორი გნებავთ მიწის სოციალიზაცია? გუშინ ს. ფირცხალავამ ბოძანა: კერძო მესაკუთრეს მაშინ ჩამოვართმევთ მიწებს, თუ ის მოისურვებსო. ამით თქვენ უკვე ხელს იღებთ მიწის სოციალიზაციის განხორციელებაზე (ს. დადიანი: სწორედ პროგრამაში ასე სწერია, თუ არ ჰკითხულობთ პროგრამას.) თქვენს პროგრამაში ვიცი რა სწერია. სოც.-რევოლუციონერთა პროგრამაში სწერია აშკარად მიწის სოციალიზაცია სრულიად, уравнительное землепользованіе ჩვენს ქვეყანაში კი შეუძლებელია ამის განხორციელება. ინტენსიური მეურნეობა მაშინ შეიძლება, თუ მემამულეს დიდ ხანს, 40—50 წლის განმავლობაში ექნება ხელში მამული (მ. მაჩაბელი: მართალია, მართალია). ჩვენთვის სოციალისტებისათვის მნიშვნელობა აქვს არა საკუთრების ფორმას, არამედ წარმოების წესს. თქვენ არას ამბობთ ამაზე: საზოგადო უნდა იქნეს წესი, თუ კერძო. თქვენ სიმართლეს არ ამბობთ იმით, რომ შემოგაქვთ ისეთი წესი, რომელიც ბურჟუაზიულ წყობილებას ეწინააღმდეგება. წარმოდგენილი კანონპროექტით გლეხებს ურიგდება ნაწილი ჩამორთმეული მამულისა—სახნავ-სათესი ადგილები, რომელიც გლეხკაცობას ჩამოუპრეს ბატონყმობის დროს. ეს ღალატია იმ პრინციპების, რომელთაც იცავდითო. ალბად, არ მიგიქცევიათ ყურადღება, რას სწერდენ ჩვენი მიმდევრები. 1906 წელს პარტიულ ყრილობაზე გამოტანილ დადგენილებიდან სჩანს, რომ მიწების დარიგება კნრძო საკუთრებად არ იყო უცხო ჩვენთვის, დღეს ხორციელდება ის, რა ნაწინასწარმეტყველია 1906 წლის დადგენილებებში, რომ მართლაც მიუღებელია გლეხკაცობისათვის სხვაგვარი ფორმა მიწის საკითხის გადაჭრისა, ეს სჩანს იქიდან, რომ გლეხი გვერდს უვლის ყველა დაწესებულებას და პირდაპირ მემამულედან ყიდულობს მიწას. ერთ დროს ჩვენ მიწის მუნიციპალიზაციას ვიცავდით, მაგრამ რევოლიუციის პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ეს შეუძლებელია და თვითონ გლეხკაცობისთვის მიუღებელია ეს, და ამიტომ დღეს ჩვენ მომხრე ვართ, რომ გლეხს კერძო საკუთრებად დაურიგდეს მიწა. თქვენ იცით, რომ ჩვენში არსებობს მხოლოდ საგლეხო მეურნეობა, და როდესაც ჩვენ ვაძლევთ გლეხს მიწას, არსებულ წესში არ ხდება ცვლილება. ეხლა იბადება საკითხი: რა წესით უნდა მივცეთ გლეხს მიწა? ფასით თუ უფასოდ? ბ. შენგელაია ამტკიცებდა, რომ სწორედ იმ გლეხს არ აქვს ფული, რომელსაც მიწის შეძენა ესაჭიროება, და მიწები ისევ მდიდრებს ჩაუვარდება ხელშიო. ეს არ არის მართალი. მთელი ის ფული რომელიც ჩვენს ქვეყანაში ტრიალებს, უმთავრესად სოფელშია. ამიტომ ჩვენ იმ აზრის ვართ, რომ გლეხს გადაეცეს მიწა ფასით. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ბაზარზე გამოგვაქვს მიწა: ეს გამოიწვევდა სოფლად ანარქიას რომ ბაზარზე გამოტანით მიწა კვლავ მდიდრებს ჩაუვარდებოდა ხელში. მიწების განაწილება თანასწორად უნდა მოხდეს, მიწა უნდა მიეცეს უმთავრესად უმიწა-წყლო გლეხებს და მათ გადახდეს არა საბაზრო ფასი, არამედ ის, რისი გადახდასაც ის შეიძლებს. როცა თქვენ წინააღმდეგი ხართ მიწაზე საფასურის დადებისა, რას ამბობთ: თქვენ რომ მთავრობის სათავეში იდგეთ, სასოფლო მეურნეობის განვითარებას ხელს შეუწყობდით? თქვენ იცით ჩვენი ხაზინის მდგომარეობა. ჩვენ ფინანსიური კრახის უფსკრულის წინ ვდგევართ (რ. გაბაშვილი: ეურული რას აკეთებს?). საღი ფინანსიური პოლიტიკა მოითხოვს, რომ ფულის საღი ტრიალი იქნეს, რომ გასავალს გარდა იყოს შემოსავალიც. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მიწების გაყიდვით დიდს ფულს მივიღებთ, ფინანსების გამოსწორებისათვის საჭირო იქნება სხვა ზომებიც. ეს კი ისეთია, რომ მას მაგრად უნდა ჩავეჭიდოთ ხელი. ეს არც გლეხის ინტერესს ეწინააღმდეგება: ის ხომ მიდის მემამულესთან და მისგან ჰყიდულობს მიწას. უფასოდ გადავცეთო, რომ ამბობთ, თქვენ ივიწყებთ იმას, რომ თქვენის პროგრამითაც არის დაწესებული რენტა. რომელიც საზოგადო საჭიროებაზე უნდა იქნეს მოხმარებული. თუ თქვენ რენტას ახდევინებთ, მაშასადამე თქვენ უფასოდ არ აძლევთ გლეხს მიწას (სოციალისტ-რევოლიუციონერები: რაშია საქმე?). თუ არ გესმით, რაშია საქმე, მაშინ არ გესმით იმ პარტიის პროგრამა რომელსაც ეკუთვნით. თუ თქვენ დღეს არ გადაახდევინებთ გლეხს საფასურს, თქვენ იძულებული იქნებით სხვა სახით დაადვათ მას უფრო დიდი გადასახადი. ჩვენი აზრით აუცილებელი საჭიროება მოითხოვს გადახდეს გლეხს ფასი, რომელსაც სახელმწიფო გამოიყენებს საზოგადო საჭიროებისათვის. ძველი მემამულე ახდევინებდა გლეხს გადასახადს ღალის სახით თავის საჭიროებისათვის; სახელმწიფო ახდევინებს საზოგადო საჭიროებისათვის. თავისთავად ცხადია, რომ თქვენი დაპირება მხოლოდ დაპირებაა. მე ხელთ მაქვს ჩვენი შემოსავალ-გასავლის ანგარიში: მთელი შემოსავალი, რომელშიაც ნავარაუდევია ყოველგვარი გადასახადი, უდრის 376 მილიონ მანეთს; ყველა უწყების გასავალი—465 მან. როდესაც ასეთია ჩვენი ფინანსების მდგომარეობა, თუ თქვენ გაინტერესებთ ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობა, განა შეგიძლიანთ იმის მოთხოვნა, რომ მიწის საფასური არ გადავახდევინოთო? მაგრამ, ალბად, არ გრძნობთ პასუხისმგებლობას, როდესაც აცხადებთ ამას, რომ გარემოებამ ხელში ჩაგიგდოსთ სახელმწიფოს მართველობა, რომ კიდევაც უფასოთ მისცეთ მიწა, თქვენ მაინც იძულებული იქნებით სხვა სახით მაინც გადაახდევინოთ გლეხობას საფასური. რაც შეეხება მიწის ნორმას, არც ს.-დემ. არც ს.-ფედ. მოსაზრებები ამის შესახებ არ შეეფერება ჩვენს მდგომარეობას. 7 დესეტინა მიწა საკმარისია, რომ მეურნემ თავისი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს (რ. გაბაშვილი: კ. ნინიძემ სთქვა, რომ ეს დიდიაო). კი მართალია, მაგრამ ნორმის შეცვლა დაგვჭირდება, მაშინ როგორც თავად-აზნაურთა მამულებში, ისე გლეხთა. და ვინაიდან ეს გლეხებს შეეხებოდა, ჩვენ ეს არ მივიღეთ. არც იმათ მივემხრობით ვინც ნორმის გადიდებას მოითხოვს, რადგან მთელ საქართველოში სულ ორი კუთხეა, სადაც თითოეულს შუა რიცხვით შეხვდება მიწა დაწესებული ნორმის მიხედვით: ბორჩალოში 8 დესეტინა (**გრ. ვეშაპელი:** თუ სომხები წავლენ, რამდენს მივიღებთ?), ახალციხეში 7,65 დეს. სხვა ადგილებში ისე მცირეა მიწის რაოდენობა, რომ გაუგებარია ნორმის გადიდებაზე ლაპარაკი. ქუთაისის მაზრაში—1,98 დეს., ზუგდიდის მაზრაში—2 ნახ. დეს., ოზურგეთის—1 ნახ., რაჭის—1 ნახ., შორაპნის 1,80 დეს. არც ერთ კუთხეში გარდა ორისა ნორმამდე არ ადის და ნორმის გადიდება ანარქიას გამოიწვევდა, რომელიც მთელ ჩვენს საქმეს დაღუპავდა. ამ მოსაზრებით მიწა ურიგდება უმიწაწყლო გლეხებს და მცირე მამულიან გლეხებს მცირე საფასურით.

დასასრულ მინისტრი იმის დასამოწმებლად, რომ სოციალ-დემოკრატია ყოველთვის ასე ჰფიქრობდა, ჰკითხულობს ციტატებს ენგელსიდან (მ. მაჩაბელი. ეგ რა არის, სახარებაა?) ეს სახარებაა იმისთვის (რ. გაბაშვილი: ვინც ყოველ დღეს იცვლის თავის შეხედულებებს), ვინც სოციალიზმისაკენ ი-წრაფვის (ტაში ს.-დ. სკამებზე).

ლ. ნათაძე. (ს.-დ.) ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც მოითხოვს უფასოდ მიწების გადაცემას. ამას ამბობენ ს.-რ. დემაგოგიისათვის, ნაწილი მამულებისა ურიგდება გლეხებს უფასოდ: დროებით ვალდებულებს, ხაზნებს და სხვებს 650 ათასი დესიატინა ურიგდება უფასოდ (დეპუტატთა სკამებიდან: ეგ დემაგოგიაა), დიაღ, ს.-რევოლიუციონერთა დემაგოგიას უპირისპირებ ჩემს დემაგოგიას, ხოლო მათ ტყუილ დემაგოგიას ჭეშმარიტებას (რ. გაბაშვილი. ნამდვილ დემაგოგიას) მართალ დემაგოგიას. როდესაც ამბობთ უფასოდ დაურიგეთ მიწაო, ეს არა მარტო დემაგოგიაა, არამედ დაშნაკური დემაგოგიაა (მ. მაჩაბელი ს.-რევოლიუციონერებს: ერთი სიტყვით თქვენ, ს.-რევოლიუციონერებო სულ დაჭკარგეთ ფასი ს.-დემ. თვალში).

შემდეგ ლ. ნათაძე ნახევარ საათს ლაპარაკობს სოც.-ფედერალისტთა პარტიაზე, მის მამამთავარ არჩ. ჯორჯაძეზე, რომელიც ს.-დემოკრატი იყო და არა ს.-ფედ. თედო ლლონტზე, რომელიც ლანჩხუთიდან კორესპონდენციებს გზავნიდა ს.-დემოკრატების გაზეთისათვის, და თავის გრძელ სამოცდაათიან სიტყვას ათავებს სოციალიზაციის ძაგებით, რომელიც სიხელელედ და სიბინძურედ გამოდგა რუსეთში და ღღეს გვევლინება, როგორც არყით გამომთვრალი დედაბერი (რ. გაბაშვილი: ეგ სოციალ-დემოკრატების პოეზიაა).

კრება იხურება საღამოს 10 საათზე.

სხვა და სხვა ამგვეგი.

ნაფიც მსაჯულთა კრება სოხუმში.

ქ. სოხუმში შესდგა ნაფიც მსაჯულთა კრება. თავმჯდომარეობდა ვ. თავდგირიძე. კრებამ იუსტიციის მინისტრს დეპეშა გამოუგზავნა.

აირუმ-კობერის გზის განახლება.

17 იანვარს გავიდა მოსამსახურეთა მატარებელი, სადაც გადაყვანილ იქმნა მოსამსახურეთა შტატები სხვა და სხვა სადგურების გასანაწილებლად. გზის უფროსმა თხოვნით მიმართა სამხედრო სამინისტროს, რათა სათანადო ადმინისტრაცია დაინიშნოს მატარებლებზე.

ჩვენი კანდიდატები ჰიათურის ქალაქის არჩევნებში

სია № 4.

1) გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე. 2) გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე. 3) ხუნდაძე ლევან სილოვანის ძე. 4) გუჩეჩიანი გიორგი სტეფანეს ძე. 5) შავგულიძე ვარლამ ეფრემის ძე. 6) აბაშიძე ჭიბო იოსების ძე. 7) დეკანოზიშვილი ერეკლე გრიგოლის ძე. 8) წერეთელი ნესტორ ზაქარიას ძე. 9) ვაშაძე ბესარიონ იაკობის ძე. 10) იაკობაშვილი ევგენი იოსების ძე. 11) ბაკურაძე ნიკო ქრისტეფორის ძე. 12) კუჭავა ვლადიმერ ეგნატეს ძე. 13) ლეჟავა ანგია პეტრეს ძე. 14) ფხალაძე მარკოზ იოსების ძე. 15) ფურცხვანიძე მიხეილ ბასილას ძე. 16) გოგოლაშვილი ანტონ მიხეილის ძე. 17) ჩიხელიძე სინო დიმიტრის ძე. 18) სამხარაძე გიორგი სიმონის ძე. 19) ვაშაძე ივანე ისიდორეს ძე. 20) ლეჟავა ნოშრევან ლუარსაბის ძე.

რა უნდა იცოდეს ყოველმა ამომრჩეველმა

მოქალაქენო! იწყება სამზადისი დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის. ქვეყვით, მოყვანილია წესი, რომლითაც ეს ამრჩევნები უნდა მოხდეს. ყველა ჩვენი თანამოაზრენი უნდა ამოქმედდენ და ენერგიულად შეუდგენ საარჩევნო სამზადის. არჩევნების შედეგი სავსებით თქვენს მუშაობაზედ არის დამყარებული ყოველ საარჩევნო უბანში უნდა იქმნეს ჩვენი პარტიის წარმომადგენელი. ყოველმა წარმომადგენელმა ფხიზლად უნდა თვალყური ადევნოს არჩევნების კანონიერებას ყოველივე უკანონბა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღნიშნული.

შეუდექით საარჩევნო სამზადისს.

1. მთელს საქართველოში არჩევნები მოხდება ამა წლის თებერვლის 14, 15 და 16-ს.

2. მთელი საქართველო წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს.

3. არჩევნების უფლება აქვს ორიოდე სქესის ყველა მოქალაქეს, ვისაც ოცი წელი უკვე შეუსრულდა.

4. რეგულიარულ ჯარში ჩარიცხულთ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს არა აქვთ ხმის მიცემის უფლება.

5. თითეულ საარჩევნო უბანში მონაწილეობის უფლება იმასა აქვს, ვინც ამ უბნის საარჩევნო სიაშია შეტანილი.

6. არჩევნების წარმოებას ჰხელმძღვანელებენ: რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია, საქალაქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოებისა და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისიები.

7. ყველა ამ კომისიებში, იმ პარტიას, ვისი სიაც წარდგენილია, უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი.

8. ცენტრალური კომისია შესდგება 21 კაცისაგან და ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

9. სამაზრო საარჩევნო კომისიას შეადგენს ერობის გამგეობა, ხოლო სადაც ერობა არაა, სამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობა, მაზრაში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით.

10. სამაზრო კომისიებს ევალებათ: 1. დაარსება სოფლის საზოგადოებისა და წვრილ სასოფლო ერთეულების კომისიებისა. 2. საარჩევნო სიების თავის დროზე შედგენა და მათი საყოველთაოდ გამოფენა. 3. დამზადება და დაგზავნა საარჩენო ყუთებისა. 4. საჩივრებისა და პროტესტების განხილვა სიების უწესოდ შედგენისა და სოფლის კომისიების უწესოდ მოქმედებისა. 5. ზომების მიღება, რათა ამომრჩევლებს ეცნობოთ საკანდიდატო სიები. 6. ხმების დათვლა.

11. იმ ქალაქებში, რომელთა მცხოვრებლების რაოდენობა ორი-ათას აღემატება, არსდება ცალკე საქალაქო საარჩევნო კომისია. ამ კომისიას ირჩევს ქალაქის საბჭო თავის წრიდან მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით. თბილისში კომისია შესდგება ცხრა წევრისაგან, ქუთაისსა და ფოთში შვიდ-შვიდისაგან. დანარჩენ ქალაქებში ხუთი წევრისაგან. საოლქო კომისია დაჰყოფს ქალაქს საარჩევნო უბნებად.

12. სოფლის საზოგადოების კომისიას შეადგენს სათანადო მაზრის საარჩევნო კომისია საზოგადოებაში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით.

ეს კომისია დაჰყოფს საზოგადოებას წვრილ სასოფლო საარჩევნო ერთეულებად, შეადგენს წვრილ სასოფლო კომისიებს.

13. წვრილ სასოფლო საარჩევნო კომისიას სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისია სამაზრო კომისიის ჩვენებითა და ხელმძვანელობით ხუთი კაცისაგან თანახმად დანარჩენ კომისიების მოწყობის პრინციპისა.

14. სოხუმის საოლქო საარჩევნო კომისიას შეადგენს სოხუმის ქალაქის გამგეობა—ცხრა კაცისაგან მომქმედ პარტიათა ძალთა განწყობილების მიხედვით.

15. თითოეულს საარჩევნო უბანში ჰსდგება ცალკე სია ამომრჩევლებისა.

16. საარჩევნო [illegible] საარჩევნო უფ[illegible] იქ სცხოვრობდა სიის შედგენის დაწყების დღემდე, თუნდაც დროებით წარსული იყოს იქიდან.

17. ვინც საარჩევნო უბანში სიების შედგენის დაწყების შემდეგ დაბრუნდება, შეიძლება შეტანილ იქნეს სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითონ წარუდგენს შესაფერ განცხადებას უბნის საარჩევნო კომისიას, ასეთი განცხადება უნდა წარედგინოს სიების შედგენის დამთავრებამდე, ან სამი დღის განმავლობაში სიების გამოქვეყნებიდან.

18. საარჩევნო სია შედგენისათანავე დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 დღისა არჩევნების დაწყებამდე, საქვეყნოდ უნდა გამოცხადდეს, ისე რომ ყველას შეეძლოს მისი გაცნობა.

19. სამი დღის განმავლობაში დღიდან საარჩევნო სიის გამოქვეყნებისა საარჩევნო ხმის მქონებელთ შეუძლიანთ საჩივარი შეიტანონ, რომ სია არ არის სწორე შედგენილი, ან სრული არაა. ასეთი საჩივრები შეაქვთ სამაზრო ან საქალაქო კომისიებში.

20. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს. ნიმუშს საარჩევნო ბარათისას აწესებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და აცხადებს საყოველთაოდ არა უგვიანეს 24 დღისა არჩევნების დაწყებამდე.

21. თითოეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას. სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება.

22. კონვერტები საარჩევნო ბარათებისა უნდა იყოს ერთნაირი და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალური კომისიისა.

23. ბარათები და კონვერტები დამზადებისათანავე ცენტრალური კომისიის განკარგულებით დაგზავნებათ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

24. საქალაქო საარჩევნო კომისიები წინდაწინ ამზადებენ თითოეულ ამომრჩეველისთვის სახელობით მოწმობას. ასეთი მოწმობა საკალდებულოა მხოლოდ ქალაქის მცხოვრებისთვის.

25. საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თითოეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ სიისა.

26. თვითეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი ან რამოდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს შეეძლოს საიდუმლოდ ჩასდოს კონვერტში ბარათი.

27. საარჩევნო შენობაში, კიბეზე ან მის კარებთან ყოველგვარი აგიტაცია-ბროპაგანდა და სიტყვის წარმოთქმა მოწოდების დარიგება ან გაკვრა აკრძალულია.

28. საარჩევნო შენობაში არ შეიძლება იარაღით შესვლა.

29. არჩევნების სამივე დღის განმავლობაში საარჩევნო შენობის კარები უნდა დაიკეტოს საღამოს სრულ 9 საათზე ქალაქად, და სრულ 8 საათზე სოფლად. თავმჯდომარე გალუქავს საარჩევნო ყუთის ამოპრილ პირს—შენობა იბეჭდება მეორე დღის დილამდე. შენობის კარებს დარაჯი მიუდგება.

30. დაცული უნდა იყოს არჩევნების სრული თავისუფლება და სისწორე. ამის დამრღვევნი დაისჯებიან დებულების მიხედვით.

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**

დამფუძნებელ კრების არჩევნები

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს, პარტიის წევრებს და თანამოაზრეთ.

14, 15 და 16 თებერვალს მოხდება საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრთა არჩევნები.

გევალებათ: დაჩქარებით გააცნოთ თქვენს რაიონში მცხოვრებ ხალხსა დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა.

გაურკვიეთ ყველას, რომ ყოველი ქართველი მოვალეა შეგნებული მონაწილეობა მიიღოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

აუხსენით ხალხს თუ როგორი შედეგები მოყვება სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების სოციალისტური პარტიების ხელში დარჩენას, თუ რამდენათ სახიფათო იქნება ეს სასოფლო მეურნეობისათვის, ვაჭრობა-მრეწველობისათვის და საერთოთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ურთი-ერთობისათვის.

აუხსენით ხალხს, რომ უკეთუ ქართველი ხალხი შეგნებულ მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, არ მისცემს ხმას სოციალისტურ პარტიებს და ამოირჩევს იმათ ვინც იცავს ერის უმრავლესობის ინტერესებს, დამფუძნებელი კრება ჩამოართმევს მთავრობას სოციალისტურ პარტიებს და ჩააბარებს იმათ, ვისაც ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დამყარება შეუძლიანთ და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი აქვთ.

ყველა ქალაქების, მაზრებისა და სოფლის საზოგადებათა საარჩევნო კომისიებში უნდა დაინიშნოს ჩვენი პარტიის წარმომადგენელი. პარტიის სამაზრო კომიტეტებს ევალებათ სასწრაფოდ გამოარკვიონ, თუ რომელს სოფლებში დაიდგმება საარჩევნო ყუთები და თითეულს ყუთს თავისი წარმომადგენელი მიუჩინონ.

მათ უნდა ყოველგვარი ზომები მიიღონ, რომ არჩევნები იყოს თავისუფალი, რომ არ იყოს ძალდატანება—ადგილობრივს ადმინისტრაციას არ აქვს უფლება საარჩევნო პროპაგანდის და აგიტაციის წარმოების უფლება. ამას მოითხოვს კანონი და ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია ეს დაიცვას.

კანონი მოითხოვს აგრეთვე, რომ საარჩევნო კომისიებმა თვითონვე დაურიგონ ბიულეტენები ამომრჩეველთ, ჩვენი პარტიის ორგანიზაციებმა და თანამოაზრეებმა ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ, რომ თითეულს ამომრჩეველს მიუვიდეს ჩვენი ბიულეტენი. უკეთუ ამომრჩეველთ დაურიგდა სხვა პარტიების ბიულეტენები და ჩვენი პარტიას კი არა, ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა აღინიშნოს პროტოკოლით და ეცნობოს ადგილობრივ საარჩევნო კომისიას და აგრეთვე ჩვენი პარტიის მთავარ საარჩევნო კომიტეტს თბილისში.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყოველივე ზომები საარჩევნო მუშაობის შესახებ დეპეშებით უნდა აცნობოს პარტიის მთავარ კომიტეტს თბილისში. პროვინციაში მიმავალ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთ ევალებათ წასვლის წინ შემოიაროონ პარტიის მთავარ საარჩევნო კომიტეტში. (ყოფილი თავად-აზნაურობის ქარავასლა. „საქართველოს“ რედაქციისა და მთავარი კომიტეტის ბინა).

ეროვ.-დემოკრ. პარტიის მთავარი საარჩევნო კომიტეტი.

ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულებრივ ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა ჰსცემს 50.000,000 მანეთის 5 პროცენტიან მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათ ერთი წლის ვადით (ესე იგი 1 იანვრამდე 1920 წ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპიურებად: 5,000, 1,000, 500, 100 და 25 მან.

თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5,000 მან. და 1,000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობით ვალდებულებათ რაიცა უნდა ჩაიწეროს თბილისის ხაზინის დავთრებში.

აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.

ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოხავლის დასაფარავად და აგრეთვე ხაზინდრათაც.

ვალდებულების შეძენა შეიძლება

მხოლოდ ნაღდ ფულად

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში დასაკრედიტო კოოპერატივებში.

10—94—7

სტამბა „ცხოვრება“ ი. ქალაქაძისა, გაბაშვილის შესახვევი № 1.